85

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 18 სექტემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 211 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 211

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელი მამიდა ეფროსინე ზურაბის ასული კუპაიძისა, შვილები მისი: ავდოტი, ვიქტორი, დავითი და ექიმი გრიშა კუპაიძენი აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ ზეკარის უღელტეხილზე ნახულ იქნა შარშან თათრებთან შეტაკების დროს ტრაღიკულათ დაღუპული პირველის საყვარელი ძმის წულის და დანარჩენთა ძვირფასი ბიძაშვილის

გიორგი გიორგის ძე ჭუბაბრიას

გვამი, რომელიც ამ დღეებში ჩამოსვენებულ იქნება ქ. ქუთაისში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქ. ტფილისის შოფერთა 1-ლი შრომის ამხანაგობის გამგეობა და წევრები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 13 სექტემბერს, სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს, მოკლულ იქმნენ ამხანაგები, პროფესიით შოფერი

ვასო უუქიაშვილი

და მისი თანაშემწე

შალვა სამათაძე

თავზარდაცემული მშობლები მამა გრიგოლ გაბრიელის ძე და დედა მარგარიტა პავლეს ასული, ძმები გალაქტიონ, ივლიანე და ჟორჟი, დები: პელაგია, გადიკო და ქსენია და სიძე ევგენი მასიკოს ძე სანადირაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ხონის სავაჟო გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

გიორგი (ბარდღა) გრიგოლის ძე გაწერელიას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, ხუთშაბათს, 18 სექტემბერს დღისით 4 საათზე სოფ. მარტვილში.

ღრმად დამწუხრებული დედა ოლღა ივანეს ასული აბუსერიძისა, დები: მატრონე დოლიძისა და საშიკო ბურჭულაძისა, სიძე ხარიტონ ბურჭულაძე და დის შვილი ბენიამენ დოლიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შარშან 5 თებერვალს ტრაღიკულათ დაღუპულ ს. აგდამში (აზერბეიჯანი) გინდარხის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების უფროსის, ძვირფასის

გიორგი სოფრომის ძე აბუსერიძის

ცხედარის ჩამოსვენებას ს. ამაღლებაში (გურია) დასაფლავების დღე შემდეგში გამოცხადდება.

ხუთშაბათს, 18 სექტემბერს მე 6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის მიერ კავკასიის უნივერსიტეტის შენობაში საღ. 7 საათზე (შოთა რუსთაველის პროსპექტი № 10) გაიმართება სახალხო ლექცია შემდეგ თემაზე:

„რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა და მისი უახლოესი მომავალი"

(დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი).

ლექციას წაიკითხავს ამ დღეებში საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსული ამხ. **გრიშა ლორთქიფანიძე.**

ერობის ცენტრი

ერობათა ყრილობაზე ცენტრალურ საერობო ორგანოს შექმნის საკითხი მწვავე შეხლა-შემოხლას იწვევს. ყრილობა ორ ნაწილად არის დაყოფილი. ერთნი იმ აზრის არიან, რომ უნდა შეიქმნას ერობათა მესამე საფეხური, ცენტრალური საერობო ორგანო; ეს ორგანო დაგვირგვინება იქნება საერობო დაწესებულებათა და მას ყველა ის ფუნქციები იქნება ხელში, რომლებიც სამაზრო ერობებს აქვთ. მეორენი კი ამნაირ ცენტრალურ ორგანოს შექმნის წინააღმდეგნი არიან; ისინი არ უარყოფენ, რომ უნდა იქნეს ერთი რაიმე ორგანო ცალკე ერობათა გამაერთიანებელი, მაგრამ სასტიკად ეწინააღმდეგებიან იმ აზრს, რომ ამ ცენტრს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივ დაწესებულების ფუნქციები.

არ ვიცით, გრძნობენ ამას თუ არა საერობო მოღვაწეები, მაგრამ ხანგრძლივ კამათის შემდეგ ერთი დასკვნა კი აუცილებელია. აქ დავაა არა მცირე, კერძო საკითხის გარშემო, ამ საკითხში ერთმანეთს შეეტაკა ორი სხვადასხვა შეხედულება სახელმწიფოს ტიპის შესახებ. საერობო მოღვაწეთა ნაწილი, რომელიც საერობო ცენტრისთვის სახელმწიფო დაწესებულების ორგანოს ფუნქციებს მოითხოვს, ერთი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის მომხრეა, ნაწილი კი, რომელიც ამნაირ ცენტრის დაარსების წინააღმდეგია, მეორე სახელმწიფო ორგანიზაციის მომხრეა.

მართლაც და რას ნიშნავს საერობო ცენტრის დაარსება ყველა იმ ვალდებულობით და უფლებებით, რაც თვითმართველობას აქვს კანონით მინიჭებული?

მოვიგონოთ, რომ ჩვენი დღევანდელი ერობის უფლება-ვალდებულებათა წრეგალი ისეთი ფართეა, რომ თითქმის არაფრით არ განსხვავდება ცენტრალურ მთავრობის უფლება-ვალდებულებათა წრეგალისაგან. მის ხელშია მეურნეობა, ადმინისტრაცია, ფინანსები, სახალხო განათლება, გზები, წყლები, სურსათი, სამხედრო საქმე და სხვ. მხოლოდ ერთად-ერთი გარეშე საქმეები თუა მარტო მთავრობის ხელში. მაშასადამე საერობო ცენტრი, თუ დაარსდა იმ სახით, რომლითაც ამას მოითხოვს ერობათა ყრილობის ნაწილი, ამ ცენტრს უეჭველად უნდა გადაეცეს ყველა ეს უფლება ვალდებულებანი. მაშ რით განსხვავდება ეს ცენტრი მთავრობისაგან?

სად გავატაროთ ამ ორ დაწესებულებათა შორის საზღვარი? როგორ მოვაწყოთ საქმე ისე, რომ ამ ორ დაწესებულებათა შორის არ მოხდეს სასტიკი შეხლა-შემოხლა, არევ-დარევა და ამან არ მოგვიტანოს სახელმწიფოში სრული ქაოსი და სახელმწიფოს ნგრევა?

ეჭვი არ არის, ან ერობათა ცენტრმა არ უნდა დაუთმოს ადგილი სახელმწიფოს მთავრობას და თითონ გახდეს მთავრობა, ან მთავრობამ უნდა იმთავროს და ვერ უნდა მოითმინოს თავის გვერდით სხვა დაწესებულების არსებობა იმავ კომპეტენციებით, რაც თითონ აქვს. საერობო ცენტრის მოტრფიალენი ვერ გვიჩვენებენ მთელს დედამიწის ზურგზე იმ ტიპის სახელმწიფოს, რომელსაც ისინი ქმნიან (შეიძლება შეუგნებლად) იმ სახის საერობო ცენტრის დაარსებით, რომელსაც ისინი ყრილობაზე მხარს უჭერდენ. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ნამდვილ ფანტაზიას წარმოადგენს, მაგრამ ამას, როგორც ყოველს ფანტაზიას, ძირი სინამდვილეში აქვს. ჩვენი სამინისტროები ჯერ ჯეროვნად მოუწყობელია. მისი კანცელარიები ძველი რეჟიმის კანცელარიების მემკვიდრეები არიან და ბიუროკრატიზმი, რომელიც იქ ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრილა, საქმეების წარმოებას აბრკოლებს და ცოცხალ შემოქმედებითს მუშაობას ხელს უშლის. მეტადრე საერობო მუშაობისთვის არის ჩვენი სამინისტროების საკანცელარიო აპარატი უვარგისი. ერობა ახალი მოვლენაა, კანცელარიისთვის ჯერ კიდევ უცნობი, და რასაკვირველია, რომ სამინისტრომ ერთბაშად ვერ შესძლოს ჯეროვანი ანგარიში გაუწიოს ჩვენი სახელმწიფოს ამ ქვაკუთხედს. აქედან წარმოსდგება ის შთაბეჭდილება, რომლებიც ერობებს გამოუტანიათ მთავრობაზე. „ჩვენ არა გვყავს ჩვენი ცენტრალური დაწესებულება, ჩვენ არა გვაქვს ერთი თავი"—აი რას რას ჩივის ერობა. აქედან იბადება ის აზრი, რომ ამნაირი „თავი" უნდა შეიქნას.

ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ერობების ცხოვრება უნდა გაერთიანებული იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას ორი თავი უნდა ჰქონდეს. ჩვენი ცენტრალური მთავრობა სწორედ ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ იგი უნდა იყოს ქვეყნის თავი და რადგანაც ჩვენი ქვეყანა თვითმმართველ ორგანიზაციათა ქსელს წარმოადგენს, მთავრობა უნდა იყოს ამ თვითმართველობათა თავი. ხალხის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია თვითმმართველ ორგანოებში გამოიხატება და ამ თვითმმართველ ორგანიზაციების გვირგვინი უნდა იყოს ცენტრალური მთავრობა. აი არსება მთელი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა. იგია ერთი მთლიანი სახალხო ორგანიზმი, რომელსაც აქვს თავისი ასოები—ადგილობრივი თვითმართველობანი და თავისი თავი—ცენტრალური მთავრობა. ჩვენი ცენტრალური მთავრობა ან იარსებებს, როგორც ერობათა გვირგვინი, მათი გამაერთიანებელი ორგანო, ან იგი სულ ვერ იარსებებს. ჩვენი სახელმწიფოც იარსებებს, როგორც სახალხო, დემოკრატიულ ორგანიზაციებზე—თვითმმართველობაზე—დამყარებული სახელმწიფო, ან იგი სრულიად ვერ იარსებებს.

და თუ ჩვენი ცენტრალური მთავრობა თავის პირდაპირ დანიშნულებას ისე ვერ ასრულებს, როგორც საჭიროა, თუ იგი ჯეროვნად ვერ ასრულებს მოვალეობას თვითმმართველ დაწესებულებათა მიმართ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი არ უნდა იყოს ერთად ერთი ცენტრი ამ თვითმმართველობათა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის გვერდით უნდა სხვა ცენტრი დაარსდეს, ის მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს საერთო მოუწყობლობის მიზეზია. ეს მოუწყობლობა, მთავრობის სისუსტე საერთო სისუსტის ბრალია: თუ ერობები სახელმწიფოს მთავრობას აბრალებენ, დანიშნულების სიმაღლეზე ვერ დგეხარო, მთავრობამაც სწორეთ ის უნდა უსაყვედუროს ერობას, ჩემი სისუსტე იმით აიხსნება, რომ შენ არ დგეხარ შენის დანიშნულების სიმაღლეზეო. მთავრობა სუსტია იმიტომ, რომ თვითმმართველობებია სუსტი, და თვითმართველობებია სუსტი იმიტომ, რომ მთავრობაა სუსტი, ამ საერთო სისუსტის მიზეზებთან უნდა იბრძოლონ შეერთებულ ძალებით მთავრობამაც, თვითმმართველობამაც, დამფუძნებელმა კრებამაც და მთელმა ხალხმაც. მოიმაგრებს ფეხს თვითმმართველობა,—მთავრობა გამაგრდება, გამაგრდება მთავრობა, მოიმაგრებს ფეხს თვითმმართველობა.

ასე ხდება, როდესაც მთელი ორგანიზმია სუსტი: ცალკე სატკივრების საუკეთესო მორჩენა ორგანიზმის საერთო გამაგრების გზით ხდება. მაგრამ მედიცინა „ადგილობრივი რჩენის" საჭიროებასაც სცნობს.

რეაქციის ახმაურება

ანარქიის ტალღებმა კვლავ წამოყო თავი. რევოლიუციურ ქარიშხალისაგან გარიყული ელემენტები, ცხოვრების დუხჭირი შვილები, საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან უარყოფილნი—შეუდგენ კვლავ თავის ბნელ საქმეებს. თავდასხმები, ყაჩაღობა, ტერორი, გახდა კვლავ გახშირებულ მოვლენათ ჩვენი ცხოვრებისა.

ეს ხდება ინგლისის ჯარის წასვლის პირველსავე დღეებში და თითქოს მიზნათ აქვს დაამტკიცოს, რომ წესიერების ბურჯი იყო ჩვენში არა დემოკრატია და ის წყობილება, რომელსაც ჩვენი ხალხი ქმნის, არამედ ინგლისის ჯარისკაცები და სარდლობა, ე. ი. გარეშე ძალა

ვიღაცის ბოროტ-ხელს სურს არიოს ქვეყანა, მოშალოს სახელმწიფოებრივი აპარატი. პირველი და მთავარი ძალა ამ ბნელ ელემენტების მიმართულია სწორეთ ყველაზე სათუთ და საჭირო არტერიის რკინის გზის წინააღმდეგ. ხალხის ძარცვა, ლიანდაგის აყრა, ვაგონების დამსხვრევა—ასეთია შედეგი ამ ახალ მოვლენილ საზოგადოებრივ სენის. ჩვენ ვიცნობთ ამ ახალი სახით მოვლენილ ძველ მტრებს ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიზმისა. იგივე ნაძირალები, რომელნიც ბოლშევიზმის ნაკადმა წარმოშვა ჩვენში, და რომელმაც წარსულ წელს შექმნა არა ერთი უგუნური და უაზრო აჯანყებები—დღეს ყაჩაღთა ბრბოებთან შეერთებული, მათთან დაძმობილებული, აკეთებს სამტრო საქმეს. ყაჩაღობის გაძლიერებას წინ უსწრობდა ციხეებიდან ბოროტმოქმედთა გაქცევის მოწყობა, რასაც სამტროთ შემოტანილი ფული ეწარმოებდა.

ბოლშევიზმი და დენიკინშჩინა—ეს ორი ანარქიული და რუსეთის დამრღვევი ანტიპოდები, ორივე საქართველოსადმი მტრულათ განწყობილნი, მოევლინენ დღეს ჩვენს კუთხეს.

ეს მათი ღვარძლიანობით გამოგზავნილი აგენტები თესვენ ანარქიის თესლებს.

ყაჩაღური ელემენტები და ეს, ასე ვთქვათ, „იდეური" მებრძოლნი—ხელი ხელ ჩაკიდებულნი მოდიან. ბოლშევიკებს მუდამ ჰქონდათ ყაჩაღური ტენდენციები, მათი ანარქისტული სული მუდამ ენათესავებოდა თავდასხმა-გაძარცვის მოწყობას. დენიკინელებისთვისაც ყველა საშუალება კარგია, რომელიც კი საქართველოს დემოკრატიას ავნებს.

ამრიგათ ორი შავი ძალა ერთდება ჩვენს წინააღმდეგ. საქართველოს დემოკრატიის წინაშე სდგება საკითხი თავდაცვისა, მან უნდა გამოიჩინოს ძალა ნამდვილი სახელმწიფოებრივი შემოქმედება. რევოლიუციის მონაპოვართ ემუქრებიან.

მართალია, თვით ყაჩაღობა და ტერორი ნიშანია იმის, რომ მათი მომხდენი ელემენტები უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მათ საზოგადოებრივი ბრძოლის უნარი დაეკარგათ, რომ მათ იმედი აღარ აქვთ საზოგადოებაზე თავის ზეიმი გამართონ, და ახლა გაბოროტებულნი—„მეც წავხდი—შენც წაგახდინეო" გაიძახიან და თავის დაღუპვას უნდათ ჩვენი რესპუბლიკაც გადაატანონ.

ამას უნდა ანგარიში გაუწიოს ჩვენმა მთავრობამ, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ ნაძირალებს და ნაძირალებთან დაკავშირებულებს. ვერც იდეური სამოსელი უნდა გამოადგეს მათ საფარად. ვინც დღეს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებს სიტყვით, ის ამ ბნელ ძალებს უმაგრებს ნიადაგს. ვინც ფულით ეხმარება, ის მით უმეტეს, ხოლო, რომ ბოროტ მოქმედებასთან ბრძოლა აუცილებელია და მათი სამაგალითო დასჯა საჭიროა, ამას მტკიცება აღარ უნდა.

ჩვენ მხოლოდ გვინდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ყოველგვარ ანარქიულ ნიადაგის აღმოფხვრაზე უნდა ვიზრუნოთ დღეს.

ახლა მოითხოვს ჩვენგან ცხოვრების პირობები იმის დამტკიცებას, რომ უცხოელ ძალთა გარეშეც შეგვიძლია დავამკვიდროთ წესიერება და სახელმწიფოებრივობა.

უკანასკნელი ცდა ჩვენი მტრების უკანასკნელ რაზმებისა უნდა გაქარწყლებულ იქნეს.

მთავრობა და დემოკრატია შესძლებს ამას.

ერობათა მეორე ყრილობაზე

(დაკარგული პარასკევი. ქრისტეს ნათლულები და ჩაჩიკაშვილები)

I

„დაკარგული პარასკევი".

იქნება გაგიგიათ ამბავი, თუ როგორ დაჰკარგეს ქიზიყელებმა პარასკევი. ახტალის ამოხეთქვას ისეთი თავ-ზარი არ დაუცია მათთვის, როგორც პარასკევის დაკარგვას. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, პოვნება არსად იყო. პარაკლისიც გადაიხადეს, სახარებაც დააბღერტინეს, მაგრამ სულ ამაოდ სთვლიდნენ და სხვებსაც ათვლევინებდნენ დღეებს: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, კვირა; უკუღმაც ჩამოთვალეს: კვირა, შაბათი, ხუთშაბათი, ოთხშაბათი, სამშაბათი, ორშაბათი,—ხოლო პარასკევი ვერსად შეხვდათ; ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო. ბოლოს დელეგატები ამოირჩიეს, თფილისში მოგზავნეს და აქ ვიღაც ღვთისნიერმა უყო სიკეთე და უპოვნა პარასკევი; დღეების თვლის დროს ხუთშაბათის შემდეგ ჯადოსნურად ჩააცქერდა თვალებში და ის ის იყო ქიზიყელნი უნდა შაბათზე გადამხტარიყვნენ, რომ ამ ღვთისნიერმა კაცმა უკარნახა „პარი" და...პარასკევი!—ალტაცებით წამოიძახეს ძებნით მაშვრალმა ქიზიყელებმა.

ნუ კი გამირისხდებიან ერობათა ყრილობის პატივცემული დელეგატები და სწორეთ ასეთი ამბავი შეემთხვათ. ექვსი დღეა რაც ისინი დილა საღამო ბჯეთად იკრიბებიან და ეძებენ თავიანთს პარასკევს, თავიანთს მოვალეობას, ეძებენ ისინი, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს მათი უდიდესი მუშაობა,—ცენტრში ცენტრის დაარსებაშიო—ამბობენ იგინი და ეძებენ ამ ცენტრს, მის მისაგნებათ სპეციალი კომისიაც აირჩიეს, მოიწვიეს სხვა და სხვა წარმომადგენელნი პლენუმზედაც, მაგრამ ვერ იქნა ვერ მიაგნეს.

გუშინ, 16 ენკენისთვეს ამ ყრილობას დაესწრო მთავრობის წარმომადგენელი ნ. რამიშვილი. მან ხაზ გასმით მიუთითა, რომ ერობის მოღვაწეების ერთად-ერთი მოვალეობაა ადგილობრივ თვითმართველობის შექმნა და გამაგრება. რომ ერთხელ და საბოლოოდ უნდა ბოლო მოეღოს ასეთს ლტოლვას თბილისისკენ, თუ გვინდა რომ პროვინცია მთლად არ დაცარიელდეს ინტელიგენტურ ძალებით და უარესად არ მინელდეს იქ კულტურულ საზოგადოებრივი მუშაობა...

ძლივს გულს დაიარხეინებენ ერობის მოღვაწენი, დაუბრუნდებიან თავ-თავიანთ ადგილებს და შეეცდებიან ადგილობრივ თვითმართველობის და თემების საკუთარის ფეხზე დაყენებას, კულტურულ მუშაობის გაჩაღებას, მეურნეობის აყვავებას, ხალხის შემოქმედება-თვითმოქმედების ამოძრავებას, მაზრისთვის ფინანსების გამონახვას, მაზრის ეკონომიურ აღორძინებას და სხვა...

ესაა მათი დაკარგული პარასკევი...

II

ქრისტეს ნათლულები და ჩაჩიკაშვილები.

ფრიად ყურად-საღები იყო სიეზდის დელეგატების მოხსენება ადგილებიდან. თუ რაიმე ფასი ჰქონდა ყრილობის მოწვევას, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ გაეგოთ მდგომარეობა მაზრების და შემდეგ გადაედგათ შესაფერი ნაბიჯები ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მაზრების მუშაობის სასურველ კალაპოტში ჩასაყენებლად. სამწუხაროდ, სიეზდმა მხოლოდ ცნობად მიიღო ეს ძვირფასი მოხსენებანი და მორიგ კითხვებზე გადავიდა.

დელეგატთა მოხსენებებმა გამოარკვიეს, რომ ზოგი მაზრა ბედნიერი, ქრისტეს ნათლული ყოფილა, ზოგი კი უპატრონო, ირაო გერი, აი როგორი ყოფილა სხვა და სხვა მაზრებში მდგომარეობა:

გურია: ჩვენ ისე კარგა გვაქვს ადმინისტრაცია მოწყობილი, რომ არ ვიცით, რას ნიშნავს ადმინისტრატორის მიერ ქრთამის აღება.

ბორჩალო: არ იქმნა, არ გვიშველა ადმინისტრაციის გაჯანსაღება. ჩვენ არ ვიცით რას ნიშნავს ქრთამის აულებლობა.

ქუთაისის მაზ.: ჩვენ ბლომად მოგვეპოებიან საშუალო სასწავლებელ დამთავრებული მასწავლებლები.

გურია: ჩვენც ჩინებულად გვაქვს ეს საქმე დაყენებული. 26 საზოგადოებაში 21 უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი მუშაობს.

რაჭა. დუშეთი. თელავი. ჩვენ გვიძნელდება მასწავლებელთა და საერთოდ ინტელიგენტურ ძალების შოვნა. არავინ მოდის ამ სიშორეთ. ინსტრუქტორებსაც ვერ ვღირსებივართ.

თიანეთი. რა ეშველება უშველებელ და უზნელესს ხევსურებს, საცა ერთათ ერთი სასწავლებლის გახსნაც ვერ მოგვიხერხებია.

ქუთაისის მაზ.: ჩვენ 16 საექიმო პუნქტი გვაქვს. ექიმებს სამუშაო შეუმცირდათ. სწუხან კიდეც რომ ხან უსაქმოდ იმყოფებიან.

გურია, სენაკის მაზ., შორაპნის მაზ. ჩვენშიაც სათანადოდ მოწყობილია საექიმო-სასანიტარო დარგი. ექიმობა უფასოა. გურიაში ექიმებს დავალებული აქვთ ფული არავის მოსთხოვონ.

დუშეთი, თიანეთი, რაჭა, ბორჩალო და სხვა ჩამორჩენილი მაზრები: ჩვენი ხალხი ჯერ ისევ ექიმბაშების ანაბარად არიან მიტოვებულნი. აქ ფერშლებიც კი სანატრელნი არიან და იშვიათნი.

სენაკი, სიღნაღი, თელავი. სახელმწიფოს და ერობებს შეძლების დაგვარათ ვაწვდიდით სიმინდს და ხორბალს.

დუშეთი. ხალხი მთლად დამშეული იყო. მაზრის მთიან ადგილებში ზოგან ოჯახის უფროსი თავს იხრჩობდა, რომ შვილების საცოდაობა არ ენახნა. ბევრი მთიული და მოხევე დედა-ბუდიანათ იყრებოდა და გადადიოდა კავკავში ლუკმა-პურის საშოვნელათ.

სიღნაღი. ჩვენ მილიონ ნახევრის გადასახადები შევაგროვეთ და იმით მოვიწმინდეთ ხელი.

დუშეთი. ყვავს რა აქვს, ბუს რა მისცეს. ხრიოკ მთებზე მცხოვრებ მთიულებს არამც თუ არა გადახდებათ რა, პირ იქით, მათ ჯილდო უნდა მიეცეს ამ მწირ ადგილებში ცხოვრებისთვის... რა ვქნათ, რა წყალში ჩავცვივდეთ, საიდან გამოვნახოთ ცხოვრების სახსარი.

ქუთაისი, ოზურგეთი. ჩვენ რკინის გზების გაყვანას ვაპირობთ.

თიანეთი. მთელი მაზრა უგზოობის გამო მოწყვეტილია საქართველოს. შარა გზაც კი არა გვაქვს თფილისისკენ მომავალი. ხევსურეთში ხომ საცალფეხო ბილიკიც სანატრელია.

თფილისი. განყოფილებები კარგა გვაქვს მოწყობილი, ინტელიგენტური ძალები ღვთის წინაშე, არ დაგვკლებია.

თიანეთ, დუშეთ, რაჭა, ბორჩალო და სხვა ჩამორჩენილი მაზრები: ამაოდ ვიხმობთ მომუშავეებს, ყველას ცენტრისაკენ უჭირავს თვალი. ყველა ცენტრში შოულობს სამსახურს. შეძლებული მაზრები მომუშავეებს თავიანთკენ იზიდებდა დიდი ჯამაგირებით, ჩვენ ღარიბები ვართ, ჩვენ ვერ დაგვიხარჯებია იმდენი ფული... ჩვენ თავი არა გვაქვს მეტოქეობისა.

ასეთია მდგომარეობა სოფლად. გულის ჩამთუთქველი, იმედის წარმკვეთი. ამას უნდა მიექცეს სიეზდის ყურადღება. სიეზდმა ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს და აუკრძალოს ერობებს ასეთის მეტოქეობით გაუბედურება ისედაც ბეჩავ მაზრებისა. თვით ერობები უნდა ცდილობდნენ ძალთა თანასწორად განაწილებას.

იმ დღეს დუშეთისთვის ქალაქის თავს ვეძებდით და მოვიწადინეთ იმ მაზრიდან მოწვევა, რომელიც თავს იწონებდა მომზადებულ ინტელიგენტურ პირებით—მაგრამ გაიგეს თუ არა, ისე აიჩეჩეს მხრები, რომ სულ გადამიწყდა იმედი. ეს ყოვლად დაუშვებელია. ასეთი კუთხური პატრიოტიზმი მუდამ დამღუპველი ყოფილა ქვეყნისა და არც ჩვენ დაგვაყრის ხეირს მთავრობამაც უნდა მიიღოს ეს გარემოება მხედველობაში და ყოველგვარ დახმარების აღმოჩენის დროს განსაკუთრებული და უპირატესი ყურადღება ჩამორჩენილ მაზრებს მიაქციოს.

დუშეთის მაზრა, დღიდან მისი დაბადებისა, მოდის და მოსტირის თავისს ბედსა.—ცოტაც, ცოტაც მოიცა და შენც გეღირსება შველაო—განუგეშებდით მას და ვერ ვაღირსეთ ეს შველა. იგი ჯერ შარშან იყო დამშეული და უარესი დღე ელის წელს,—თუ ამთავითვე არ იქმნა ყურადღება მიქცეული... ერობათა ყრილობამ საგანგებო სხდომა უნდა შესწიროს იმას, თუ როგორ დააპურონ როგორც სულიერად, ისე ნივთიერად და როგორ უშველონ ასეთს ჩამორჩენილს კუთხეებს. როგორც ჩვენი გლეხები ოხვარს გაუმართავენ ხოლმე მოუსავლობით დაზარალებულ გაუბედურებულს მეზობელს, ისე ასეთი ოხვარი უნდა გაუმართონ ჩვენმა ერობებმა და მთავრობამ და ამ თავითვე მიხედონ ამ საცოდავს მაზრებს...

დ. თურდოსპირელი.

იტალიური პრესის ცნობით საზავო კონფერენციის დათხოვნის იდეას მრავალი მომხრეები ჰყავს, ამერიკელები და კლემანსო წინააღმდეგნი არიან.

ავსტრიასთან დადებულ პირობებზე ხელი არ მოუწერია რუმინიას და სერბიას.

გერმანიის 140 ქალაქში უმუშევართა რიცხვი 41 ათასს აღწევს. უმუშევართა მდგომარეობა უნუგეშოა.

გერმანიის ახალ სახელმწიფო ღერბით დამტკიცებულ იქნა ერთ თავიანი შავი არწივი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

სომხეთის მდგომარეობა.

„ზნ რევ." (15 სექტემბრის ნომერში) მიხ. ავდეევი ეხება სომხეთის ახლანდელ მდგომარეობას. აღნიშნავს თუ რა მდგომარეობაშია სომხეთის გაერთიანების საქმე, ეხება სომეხ თათართა შეტაკებებს და, სხვათაშორის, შემდეგს სწერს:

...„რაც შეეხება შარურო—დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებს, ისინი სავსებით ჩამოშორდნენ სომხეთს და თავისი საკუთარი ცხოვრება მოაწყვეს. ამ მდგომარეობაშივე იმყოფება ერევნის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთი თავისი ისტორიული ბაიაზ-ვერდეწის ფრონტით. აქ ერევნის მთავრობა გამოძევებულია თვით კამარლიუმდე ე. ი. ჩამოშორებულია მაზრის მესამედი ნაწილი. სურმალინის მაზრაში უკანასკნელ დრომდე არ სცნობდნენ ერევნის მთავრობას საკმაოდ დიდი რაიონები. ახლა მთავრობის გავლენის სფერო კიდევ უფრო შემცირდა. წინად 230 სოფლიდან სურმალინში მორჩილება განაცხადა 70 სოფელმა. ახლა ეს რიცხვიც შემცირდა და ურჩ სოფლებს კიდევ მიემატა ახალი რაიონები—სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთი ნაწილი მაზრისა. ფაქტიურად სომხეთის მთავრობას სცნობენ მხოლოდ იგდირში და მახლობელ სოფლებში და აგრეთვე დაშბურუნში. თუ ზემო ნათქვამს ციფრებით გამოვხატავთ, მივიღებთ შემდეგს:

მთელი სივრცე ერევნის გუბერ. უდრის 24,408 კვად. ვერსს ანუ 2,542,505 დესიატინას. აქედან შარურის და ნახიჩევანს მოუწევს საერთოდ—6,576 კვ. ვერსი ანუ 685,044 დესიატინა. ერევნის მაზრის დაუმორჩილებელ რაიონს მოუწევს, მინიმუმი რომ ავიღოთ, 1,000 კვ. ვერსი. სურმალისთვის შესაფერი ციფრი იქნება, 2,400 კვ. ვერსი. ამნაირად, ორივე მაზრას ჩამოშორდა ტერიტორია სივრცით 3,400 კვ. ვერსი, ანუ 358,360 დესიატინა. საერთოდ კი სულ ეხლანდელ მთავრობისთვის მიუწდომელია, მის განკარგულების გარეშე არის, ტერიტორია, რომლის სივრცე უდრის 9,976 კვ. ვერსს, ანუ რგვალი ციფრებით რომ გამოვხატოთ, 10,000 კვ. ვერსი, ანუ 1,054,000 დესიატინა, ე. ი 41 პროც. გუბერნიის სივრცისა.

„პარალელურათ ტერიტორიის შემცირებისა სწარმოებდა შემცირება ქვეშევრდომთა რიცხვისა, მაგრამ ეს უკანასკნელი მოვლენა სწარმოებდა გაცილებით ჩქარის ტემპით, ვინემ პირველი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ყოველი ახალი მოვლენის შემდეგ, ეგრეთ წოდებული დაპყრობილი მაზრების მუსულმანები სტოვებდნენ თავიანთი მოსახლეობას და გარბოდნენ რა ძალიან შორს ამ ადგილებიდან, ისე დაშორებით ესახლებოდნენ, რომ მის შემდეგ ისინი უკვე უსოფლებათ ჩაითვლებოდნენ. ეხლა მაგ. ახალ ბაიაზეთის მაზრაში დარჩა სულ თათრის რამოდენიმე სოფელი რომელნიც მდებარეობენ გოქჩის ტბის აღმოსავლეთის რაიონში და ამიტომ წარმოადგენენ სრულიად მიუვალ პოზიციებს. გადარჩა კიდევ ექვს სოფლამდე ტაიჩარუხის რაიონში. რაც შეეხება მაზრის შიგნითა ნაწილებს, იქ ყოფილი მუსულმანთა ტერიტორია ეხლა სავსებით დაცარიელებულია. უკანასკნელთ თათრები გაიქცნენ მეითხე უზნიდან, რომლის სიღრმეებში მდებარეობს ეხლა დალეჟული სოფ ზოდი. სულ ახალბაიაზეთის მაზრაში ითვლებოდა 70 მუსულმანთა სოფელი, საერთო რიცხვი კი მუსულმანთა სოფლებისა უდრიდა 138 „თვითგამორკვევისა" და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა არსებობის დროს ამ მაზრიდან გაყარა 60 მუსულმანთა სოფელი, რომელთა მოსახლეობა უდრიდა 42—44 ათას სულს ასე რომ, მოხდა ემიგრაცია მაზრის მცხოვრებთა 24 პროც.-ის.

„მეზობლათ მდებარე ერევნის მაზრაში თათრებმა დასცალეს ასამდე სოფელი. ემიგრანტთა და დალუპულთა რიცხვი უდრის, მინიმუმი რომ ავიღოთ, 40,000 ს ამაში არ შედის ქალაქი ერევანი, საიდანაც წავიდა არა ნაკლებ 13—14 ათას თათრებისა. საერთოდ ერევნის მაზრამ დაჰკარგა 55—60 ათასი მოქალაქე, ამასთან ანგარიშში მიღებული არ არის ჩამოშორებული მუსულმანები მაზრის სამხრეთ დასავლეთ ნაწილისა.

„ეჩმიაძინის მაზრაში ეხლა აღარ არის ქურთთა 42 სოფელი. აგრეთვე აღარ არის მთელი წყება სარდარაბადის და ტალინის თათრების სოფლებისა. იმ დროს, როდესაც ვწერ ამ წერილს, სარდარაბადის რაიონიდან იყარნენ შემდეგი სოფლები: კარხუნა, ჯანფიდა, კიორიმ—არხი, იგდალა და სხვ.

კიდევ ადრე დაატოვეს თავიანთი ადგილი ჩრდილოეთის უეზდის თათრებმა. ეხლა ჩვენ არა გვაქვს სწორი ცნობები ეჩმიაძინის მაზრიდან გადასახლებულთა შესახებ, მაგრამ რომ მათი რიცხვი 18—20 ათასზე ნაკლები არ არის, ეს ეჭვს გარეშეა.

„სურმალინის მაზრაში ასეთ მასიურ გადასახლებას ადგილი არ ჰქონია და ეს იმით აიხსნება, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მაზრისა არსებობს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით.

„ასე რომ, საერთოდ ერევნის გუბერნიის დამორჩილებულ ნაწილიდან გადასახლებულია არა ნაკლებ 125—130 ათასი მუსულმანი რომელთაც ეჭირათ 250-დე სოფელი. ჩამოშორებულ მაზრებთან და მაზრის ნაწილებთან ეს შეადგენს 450 ათას სულ, ანუ 40 პროც. გუბერნიის საერთო მცხოვრებთა.

„მართალია, სომხეთა მოსახლეობას ნაწილმა მიატოვა მაგ. ნახიჩევანის მაზრა და შეუერთდა რესპუბლიკის სომეხთა საერთო მასსას, მაგრამ რიცხვი ასეთი ემიგრანტებისა არც ისე დიდია".

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲔᲕᲐᲙᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი წერილი მიიღო:

მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. თქვენო აღმატებულებავ! ამჟამად დამთავრებულია საქართველოსა და აზერბეიჯანიდან ბრიტანეთის ჯარის ევაკუაცია. უკანასკნელმა სამხედრო მატარებელმა დასტოვა თფილისი ამ თვის 9 ს.

ბრიტანეთის მთელი ჯარის ევაკუაცია მოხდა სწორედ სამს კვირაში და მთელი ოპერაცია შესრულებულ იქნა სრულიად შეუფერხებლად.

მე ვფიქრობ, რომ საქმის ასეთი შესრულება უნდა მიეწეროს საქართველოს მთავრობის დახმარებას. იგი იწვევს უმაღლეს ნდობის გრძნობას საქართველოს რკინის გზათა ადმინისტრაციის და მოსამსახურეთა მიმართ.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენმა მთავრობამ გაუწია გენერალ ბრუგს ევაკუაციის დროს და გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა საქართველოს რკინის გზათა მოსამსახურეთ იმ კეთილი შრომისათვის, რომელიც მათ გასწიეს ჩვენთან საერთო მოღვაწეობის განმავლობაში.

გენერალ მაიორი კორი, ამიერ კავკასიის ბრიტანეთის ჯარის სარდალი.

1919 წ. სექტემბრის 11.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

(11 სექტემბრის სხდომა.)

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 100 000 მანეთი სამხედრო ფონდიდან ომში შრომის უნარ დაკარგულ სამხედრო პირთა და მათი ოჯახებისთვის დახმარების აღმოსაჩენათ.

——

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ფქვილის სახით 100 ათასი მანეთი სამხედრო ფონდიდან ნაღმოსანის აღმოსაღებათ და შესაკეთებლათ.

——

კანონი მოხელეთა ჯამაგირებიდან საპენსიო პროცენტების დაკავებისა, ნაგულისხმევი სახელმწიფო კანტროლის მოწერილობაში სამხედრო სამინისტროსადმი 25 მკათათვის თარიღით, ვრცელდება სამხედრო უწყების მოსამსახურეებზედაც.

——

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 10 მილ ფონდიდან 4,584,000 მან. სახელმწიფოს საზღვრების დასაცავ—გასამაგრებლათ, სამხედრო ავიაციის საჭიროებისთვის შენობების ასაგებათ და მათ მოსაწყობათ. ეს თანხა გაღებულ იქნას ნაწილ—ნაწილად.

——

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 51,030 მან. სათადარიგო და სალაშქრო ჯარისკაცთა აღრიცხვულ დაწესებულებათა წიგნებისა და ბლანკების დასამზადებლათ.

——

სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში გაღებული თანხა 650,000 მან. ახალსენაკიდან სოხუმამდე ტელეგრაფის გასაყვანათ, გადარიცხულ იქნას შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში და აღნიშნულ პუნქტების ტელეგრაფით შეერთება დაევალოს რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფის უფროსს.

——

რომის ქართველთა კონფერენციაზე მთავრობის წარმომადგენლებათ დაინიშნონ შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. ბ. საბახტარაშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი სიმონ მდივანი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 სექტემბერი

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. სექტემბრის 16. გერმანიის პრესა ძლიერ ადევნებს თვალ-ყურს კურლიანდიაში ფონ-დერ-გოლცის გერმანულ ჯარის მოქმედებას. „ფორვერტსი" იუწყება, რომ გერმანელების ჯარის უარის გაცხადება კურლიანდიიდან წამოსვლის შესახებ, სადაც მათ მიწებს დაჰპირდნენ, ფაქტიურათ პოლიტიკური გამოსვლაა, რომელიც ოფიცრებისაგან არის მოწყობილი და რომლებიც ბალტიის მხარეში აქტიურობას იჩენენ და ბალტიის ბარონებთან და მემამულეებთან მჭიდროთ არიან შეკავშირებული. „ფორვერტს"-ი სწერს, კურლიანდიაში სამხედრო პირები იმავე წრეებს ეკუთვნიან, რომლებიც ცდილობდნენ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერისთვის ხელი შეეშალათ, ეხლა კი, მთავრობის ანგარიშ გაუწევლათ ცდილობენ აღმოსავლეთ ოლქებში გადაირჩინონ თავი. აღმოსავლეთში ამ მოძრაობის ბელადები გერმანიის მთავრობის ინფორმაციულ ბიუროში სხდნან და მთავრობის სამსახურში იმყოფებიან. „ფორვერტს"-ი ამტკიცებს, რომ მიუხედავათ ამისა, ისინი მიისწრაფიან მთავრობის ავტორიტეტი დასცენ. „ფორვერტს"-ის წინააღმდეგ „ფოსიშე ცაიტუნგი" კრიტიკას უკეთებს გერმანიის მთავრობას, რომელიც, გაზეთის აზრით ფონ დერ გოლცს მხარს უჭერს. „ფოსიშე ცაიტუნგი"—რომელიც ცდილობს მირიგების პოლიტიკა აწარმოოს, როგორც რუსეთთან, ისე საფრანგეთთან, ამბობს, რომ გერმანიის ავანტურათა წრე და ბალტიის ბარონები ცდილობენ რუსეთის განაპირა ადგილები და ხალხები ერთი მეორეს გადაჰკიდონ, და შემდეგ რუსეთის რეაქციის თანახმად მათ ავტონომია წაართვან შემდეგ გაზეთი აცხადებს, რადგან ეს პოლიტიკა ტარდება გერმანიის არმიის ჯარის საშუალებით, ამიტომ აუცილებლათ უნდა ვიფიქროთ, მთავრობა მას თანაგრძნობით უყურებს, რადგან მთავრობა, რომელიც წინააღმდეგი იქნება ასეთი ამბების, იმავ დროს არ შეიძლება ამ ამბებს შეურიგდეს და ეცდება ხელის შეშლას. და თუ კი ის თავის სისუსტეს აღიარებს, მაშინ ის მთავრობა უნდა გადადგეს. ამ ცნობათა გამოქვეყნება გერმანიის ჯარს სრულიადაც არ აწუხებს. მისი მთავარი ორგანო „დოიტშე ტაგეს ცაიტუნგი" განმარტავს, რომ ფონ დერ-გოლცი და ბრუნდა მიტავაში იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალოს გერმანიის ჯარს და ლატიშთა შეტაკებას. უთანხმოების მიზეზი კი ლატიშთა მიერ დაპირებულ ადგილებზე უარის თქმაა. გაზეთი მთავრობას წინადადებას აძლევს, რომ სცნონ მათი მოთხოვნილება.

ნაუენი, ენკ. 14. „ტაიმს"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შეერთებულ შტატებში ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში 11000 გაფიცვას ჰქონდა ადგილი. უმეტესი ნაწილი გაფიცვებისა მუშების სასარგებლოდ დასრულდა. ამერიკის მუშებს გაფიცვით თანდათან თავისი უფლების შეგნება ეტყობა. მუშათა პროპაგანდა მტკიცე ნიადაგს პოულობს სიძვირის გაძლიერების გამო, ამას ემატება მუშათა ხელის ნაკლებობა. იმ დროს, როდესაც შეერთებულ შტატებში ყოველ წელიწადში მილიონობით მოდიოდნენ ემიგრანტები, ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ: 30000 ევროპიელი სტოვებს ყოველ თვეში ამერიკას, შრომის ბიროს ანგარიშის თანახმად მრავალ ადგილას საგრძნობი მუშა ხელის ნაკლებობაა.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებამ ნახშირის რაიონის ტეშენის სილეზიასთან და პოლონეთთან შეერთების შესახებ, მაგრამ იმ უფლებით, რომ ჩეხოსლოვაკებს ნება ექნებათ ნახშირის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, ჩეხებში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

პრაგაში ამის გამო დიდი დემონსტრაცია მოხდა. პრაგაში ქალაქის გამგეობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც ერთობ მკაცრი კილოთი არის გამოთქმული. საპროტესტო მოძრაობამ ზოგიერთ ადგილებში გაფიცვის სახე მიიღო. პრაგაში საერთაშორისო კონფერენციის წარმომადგენლებმა ამის გამო გაფიცულებთან მოლაპარაკება დაიწყო და სთხოვა მათ მუშაობის განახლება, ვინაიდან ტეშენის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. „ჩეშსკაია გაზეტა"-ს აზრით, თუ ტეშენი პოლონეთს გადაეცეს, მეოთხედი მილიონი ჩეხებისა იძულებული იქნება თავისი ბინა მიატოვოს და ქუჩის ბინადრად გახდეს. ჩეხებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ პოლონელების დამონება. გერმანელების გაზეთი „პრაგერ-ტაგებლატი" ჩეხის თვალსაზრისს უერთდება ტეშენის საკითხის შესახებ და აღნიშნავს, რომ თუ ჩეხო სლოვაკიას არ ექნება შეძლება ისარგებლოს ტეშენის ნახშირით, მაშინ მთელი მეტალურგიული მრეწველობა შეჩერდება. შვეციის მემარცხენე სოც.-დემ. პარტიამ სურვილი გამოსთქვა კომუნისტურ ინტერნაციონალს შეუერთდეს.

ნაუენი, ენკ. 16. გერმანიის ახალ სახელმწიფო ღერბად დაამტკიცეს ერთ თავიანი შავი არწივი, რომელსაც თავზე გვირგვინი არ ექნება. გოგენცოლერნების ღერბი უჯაჭვოთ შავი არწივის ოქროდენით. არწივის ფრთები გაუშლელია, ნისკარტი ენა და კანი წითელ ფერის, ფონი—ოქროსფერი.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

გერმანიის ახალ სახელმწიფო ღერბად დაამტკიცეს ერთ თავიანი შავი არწივი, რომელსაც თავზე არც გვირგვინი და არც არავითარი ემბლემა არ ექნება. სახელდობრ, არც გოგენცოლერნების ღერბი და შავი არწივს ოქროს ჯაჭვით. არწივის ფრთები გაუშლელია, ნისკარტი, ენა და კანი წითელი ფერისაა, ფონი ოქროსფერი.

ბერლინში გამოსული პოლონური გაზეთი „ბერლინსკი დზიენნიკ"-ი იძლევა დამახასიათებელ აღწერას იმ ადმინისტრაციული პოლიტიკისას, რომელიც პოლონელებმა შემოიღეს ავსტრიის ყოფილ ოლქებში.—„აქ ისეთივე ბიუროკრატიული მოქმედებაა, როგორც პოლონეთის სხვა ოლქებში, უნებართვო ვაჭრობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურეები ცხვირს მაღლა სწევენ, ეწევიან ლოთობას და ხალხს უდიერად ეპყრობიან. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქო პრუსიის „ჩინოვნიკების" ფუქსავატი მედიდურობა პოლონელებს შეუსისხლხორცებიათ. გაზეთი განაგრძობს, რომ ისინი ბევრ ბოროტებას ჩადიან. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება ექსპორტებზე ყოველგვარ ნებართვის გაუქმების შესახებ. ხორბალი პოზნანიდან აშკარათ გამოჰქონდათ და კალიშში იყიდებოდა. შემდეგ გაზეთი აღწერს იმ უკანონო მოქმედებებს, რომელიც სამხედრო ქონებით, ავტომობილებით, ოქროს და ქაღალდის ფულებით ვაჭრობით არის გამოწვეული.

აგვისტოს ბოლოს მოხდარი სტატისტიკური ცნობებით, რომელიც გაზეთებში იქნა გამოქვეყნებული, გერმანიის უმუშევართა მდგომარეობა უნუგეშოა. გერმანიის 140 ქალაქში უმუშევართა რიცხვი 41,000 აღწევს. ნახშირის და დასამუშავებელი მასალის უქონლობით, გაფიცვებით, ხელფასის მომატებით, საგარეო საქმეების გაძნელებით, ფაბრიკების რიცხვის შემცირებით უფრო რთულდება მდგომარეობა. დიდია აგრეთვე უმუშევარ ქალთა რიცხვი, ვაჭრობა მრეწველობის საქმე არ არის დამაკმაყოფილებელი.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

„ჟურნალი" იუწყება, რომ საზავო კონფერენციის დათხოვნის იდეას მრავალი მომხრეები ჰყავს. ამერიკელები და კლემანსო ამას გადაწყვეტილათ ეწინააღმდეგებიან: „მატენ"-ი უმატებს, რომ ამერიკელები უმაღლეს საბჭოს სხდომების გადადების ფორმალურათ წინააღმდეგი არიან, რადგან კონფერენციამ თვალსაჩინო საკითხები უნდა გადასწყვიტოს.

რუმინიასა და სერბიას ავსტრიასთან დადებულ პირობებზე ხელი არ მოუწერიათ.

ტიტონიმ რომში წასვლა გადასდო, რათა იტალიის საკითხებზე ლოიდ ჯორჯს და კლემანსოს მოელაპარაკოს.

ნიუ-იორკიდან მოსული დეპეშა იუწყება, კრეისერ „ჯავურ"-ის იტალიელ მეზღვაურთა სვიტის შეხვედრის შესახებ. უფროსი, რაზმით, მუსიკით და ბაირაღებით სასაფლაოსკენ გაემართა, რომ ენახა ომში დახოცილთა სასაფლაო. ადმირალ ფერის ძეგლი მათ ყვავილებით შეამკეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

მატარებლის გაძარცვა. სექტემბრის 16, საღამოს 10 საათზე ბოროტ-გამზრახველებმა გააჩერეს რიონიდან ქუთაისს მიმავალი მატარებელი № 79 და გაძარცვეს ფოსტის ვაგონის მგზავრები. წაიღეს 200 ათასამდე ფული და ერთი ჩემოდანი. ბოროტ გამზრახველთა შესაპყრობად მიღებულია ზომები.

◆ **ფოსტის გაძარცვა.** სექტემბრის 17, დილის 10 საათზე, კოჯორ-მანგლისის გზაზე, კოჯორიდან 4 ვერსის მოშორებით, ბოროტ გამზრახველებმა გაძარცვეს თფილისიდან მანგლისს მიმავალი ფოსტა. მოკლეს შოფერი და წაიღეს 59 ათასი მანეთი.

◆ **სანიტარული გადასახადი.** 14 სექტემბერს, სახელოსნო კლუბში შედგა ვაჭარ მრეწველთა და ხელოსანთა შეერთებული კრება. დაესწრო 4 ათასამდე წევრი. ვაჭარ მრეწველთა დეპუტატების თავმჯდომარე გრ. ხანდამოვმა გააკეთა მოხსენება სანიტარულ გადასახადის შესახებ. მან გააცნო კრებას ის შეთანხმება, რომელიც მოხდა ვაჭართა წარმომადგენლების და ქალაქის გამგეობის შორის. წინანდელი დადგენილება ქალაქის გამგეობისა შეცვლილ იქნება და ვაჭრებს 10 ოქტომბრამდე ევალებათ ორი მესამედი სანიტარულ გადასახადის შეტანა. დანარჩენი 10 დეკემბრამდე უნდა იქნას შეტანილი ქალაქის კასაში. არ გადახდებათ ვაჭრებს აგრეთვე 50 პროც. ჯარიმა. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ ენერგიულად მოეკიდონ დაკისრებულ მოვალეობას და შეეცადონ დროზე იქნას შესრულებული ის ვალდებულება, რომლებიც ვაჭრებს აქვთ დაკისრებული. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც დამტკიცებულ იქნა ვაჭრთა დეპუტატების და ქალაქის გამგეობის შორის მომხდარი შეთანხმება და დადგენილ იქნა აგრეთვე რათა შეეცადონ დროზე იქნას გაწერილი და გადახდილი სანიტარული გადასახადი.

◆ **არჩევნების დამტკიცება.** სასოლქო სასამართლომ დაამტკიცა დუშეთის საქალაქო არჩევნები, რომელიც განსაჩივრებული იყო დუშეთის სოციალისტ-ფედერალისტების მიერ.

◆ **სამსახურიდან დათხოვნა.** ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან მეექვსე უბნის კომისრის თანაშემწე ელენტი.

◆ **საყურადღებოდ** ნათესავებისა და ნაცნობებისა ვაცხადებ, რომ მე, მემანქანეს თანაშემწე პეტრე ნიკოლოზის ძე ყიფშიძე, მიმავალი ჩქარი მატარებლით № 1, ღამის 2 საათ., 12 სექტემბერს, თფილისიდან ბათუმში, რომელსაც ბოროტ მოქმედებმა აუყარეს გზა და დამსხვრიეს, გადავრჩი სიკვდილს. ტკივილები იოკვევა. ვიმყოფები რკინის გზის საავადმყოფოში. პ. ნ. ყიფშიძე.

◆ **თფილისის ქალაქის მოურავისაგან.** მე მომდის ცნობები, რომ ვითომც ვაჭართა დეპუტატების საბჭო, რომელსაც ქალაქის გამგეობამ მიანდო სანიტარულ გადასახადის განაწილება, მოხარკეთ ვალდებულს ხდის ჩაეწერონ საბჭოს წევრად და აწევინებენ გადასახადს. და მხოლოდ ასეთებს ჰპირდება თავის მფარველობას, იმათ კი, რომელნიც არ მოისურვებენ წევრობას, ვითომც აავლებენ გადასახადის ნახ. პროც. გადახდას ხარჯების დასაფარავად. ამით ვაცხადებ მოხარკეთა საყურადღებოთ, რომ არავითარი გადასახადის აკრება, სანიტარულ გადასახადთან დაკავშირებული დაშვებული არ იქნება. იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ, თავის ნებით ჩაეწერნენ წევრად, რასაკვირველია, არ აეკრძალებათ რაიმე ფულის გადახდა, ხოლო თუ ვინმე მოისურვებს რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მოხარკეზე, რომ მას ფული გადაახდევინოს, ამის ნებას არავის მივცემ.

◆ **თუთუნის ქარხნის მოსამსახურეთა** მასსიურ დათხოვნის გამო, რომელიც გამოწვეულია ქარხნებში წარმოების შემცირებით, შრომის კომისარმა საჭიროთ დაინახა განმარტა, რომ ყოველნაირი შემცირება წარმოებისა უნდა ხდებოდეს თანახმად 14 იანვრის მეხუთე მუხლისა. და უნდა გატარდეს სალიკვიდაციო კომისიაში.

◆ **ქალაქის საბჭომ** 4 სექტ., დაადგინა: „ყველა ის მესაკუთრეები, რომელთაც ამ წლის 1 იანვრიდან ქ. თფილისში შეუძენიათ უძრავი ქონება, მიწა ან სახლი ათი ათას მანეთზედ მეტი ღირებულებისა, დაიბეგროს სანიტარული გადასახადით გამგეობის შეხედულობით, მაგრამ არა უმცირეს იმ ნორმებისა, რომლებიც მიღებულია ჯამაგირიანი ხალხისათვის". გამგეობამ შეიმუშავა შემოხვენებულ მესაკუთრეთა სია; რიცხვით 359, რომელთაც შეუძენიათ 32.267.807 მ. ღირებული მამული, რომ შესაძლებელი ჰყოს ამ ბეგარის გადახდა, გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს საზოგადო კრება იმ მესაკუთრეებისა, რომელთაც ამ წლის პირველ იანვრიდან შეუძენიათ რაიმე უძრავი ქონება, რომ მათთან ერთად შეიმუშაოს გადასახადის პირობები. საზოგადო კრება დანიშნულია 20 სექტემბერს, 1919 წ. საღამოს ექვს საათზე, საბჭოს დარბაზში.

◆ **ლოღიკა.** ელემენტარული კურსი შედგენილი პროფ. შალვა ნუცუბიძის მიერ, რედაქციამ მიიღო. წიგნი სუფთა გამოცემაა. შეიცავს [illegible] 88 გვერდს და ღირს 20 მან.

◆ **გვამი.** მტკვრის [illegible] თამამშევის წისქვილის მახლობლად იპოვეს გვამი უცნობი კაცისა.

◆ **ფრონტისთვის.** სტუდენტი სოკრატე [illegible] სოფელ უშაფთაში 20 ივლისს ფრონტისთვის მოგროვილი 737 მან. სულ მოგროვილა 827 მან., დახარჯულა: 50 მან. ფრონტის სურათების შეძენათ: 10 მან., კონვერტი და ქაღალდი:—27 მან. ქოთნების ტომრის, და სხვა —ყულაბებში აღმოჩენილა დახეული ბონები 23 მანეთის. წმინდა შემოსავალი დარჩენილა 737 მან. რაც რედაქციამ მიიღო.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ.

18 სექტემბერს, საღ. 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა.

— კვირას, 21 სექტემბერს, დილის 10 ს. დანიშნულია კრება თფილისის მეტყევეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებისა, დღის წესრიგი და ადგილი კრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

— დღეს, 18 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა არაჩვეულებრივი საერთო კრება.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

სამტრედიის საკოლექტივო სოც.-დემ. პარტიის წევრთა კრებამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა სახალხო გვარდიის და ერობათა ყრილობებს.

ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲔ ᲙᲝᲬᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ

იპოლიტე კოწიას ძე შარაშიძე იყო ძმა რევოლიუციის მსხვერპლი დარაჯის და მისთვის თავდადებულის ცნობილ არტილერისტის ვალერიანისა. ახალგაზრდა ფერშალი იპოლიტეც თავის ძმის მსგავსად თავის მიზნად ისახავდა ხალხის სამსახურს. გარდა ექიმობისა განსვენებული დემოკრატიას ემსახურებოდა, როგორც ს. დ. პარტიის ერთგული წევრი. ის მუშაობდა შორაპნის მაზრაში და ჭეშმარიტად ასეთი ახალგაზრდის დაკარგვა დიდი დანაკლისია. ვუცხადებთ ჩვენს გულითად თანაგრძნობას ასეთი ვაჟების აღმზრდელ უბედურ მშობლებს.

ხ. ქ—შვილი

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

საზავო ხელშეკრულება და ამერიკის სენატი.

22 აგვისტოს, „ჰუმანიტე"-ში მოთავსებულია ანგარიში იმ კამათისა, რომელიც გაიმართა ამერიკის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში საზავო ხელშეკრულებისა და ხალხთა ლიგის შესახებ.

პრეზიდენტმა ვილსონმა განუცხადა სენატს, რომ მას არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო, რომ მსჯელობის საგნათ გახდეს შეერთებული შტატების ხალხთა ლიგაში მონაწილეობის აზრი, ოღონდ ეს მსჯელობა არ შევიდეს საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის ოფიციალურ ტექსტში, რადგანაც ეს შეაფერხებდა ლიგის დაარსებას, ვინაიდან სხვა სახელმწიფოებს სურთ ხელშეკრულების საბოლოო რატიფიკაციისათვის ისარგებლონ ამერიკული ტექსტით. პრეზიდენტს ჰგონია, რომ უთანხმოება ხელშეკრულების სხვა და სხვანაირად გაგებისა. არ შეეხება თვით ხელშეკრულების არსს.

ხალხთა ლიგის ხელშეკრულობის მე 11-ე მუხლის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებელი ომის გამო ხალხთა ლიგამ უნდა მიიღოს გარდაწყვეტილებანი, რომელთაც მიზან შეწონილად სთვლის, ვილსონი განმარტავს, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ მორალურ ვალდებულებაზე. უპასუხა რა სენატორ ლოჯს, ვილსონმა განაცხადა: აშკარაა თავდასხმის დროს, თუ საჭიროა ამ დაცემის მოგერიებისათვის ძალის ხმარება, შეერთებული შტატები კანონით არ იქნება ვალდებული მონაწილეობა მიიღოს ამ მოგერიებაში, არამედ—მხოლოდ მორალურად.

შემდეგ ვილსონმა განაცხადა: იმ ფულებით კომპენსაციიდან, რომელიც გერმანიამ უნდა გადიხადოს, შეერთებულ შტატებს ძალიან მცირე ნაწილი შეხვდება და ის ირჩევდა, რომ სულ არ მოეთხოვათ ეს ფული.

რაც შეეხება „ლუზიტანიის" ანაზღაურებას, რომელიც გერმანიამ დალუპა, შეერთებული შტატების ომში ჩარევამდე და სხვა ამგვარ ზარალს, რომელიც გერმანიამ მიაყენა, ყველა ამ კითხვებს გადასწყვეტს კომპენსაციური კომისია. მუხლი ხალხთა ლიგიდან გამოსვლის შესახებ ვილსონმა ისე ახსნა, რომ ამ კითხვაში ყოველი წევრი ლიგისა არის თავის თავის მოსამართლე.

იმ კითხვის შესახებ კი, შესრულა

არა ლ.გიდან გამოსულმა ნაციამ ისი საერთაშორისო ვალდებულება ის პასუხისმგებლია საერთაშორისო ოგადოებრივი აზრის წინაშე.

რეზ დენტი ძოითხოვს ჩქარა მოხდეს ვო ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომლისთვაც შეუძლებელია ნორმარი ურთიერთობის აღდგენა. სენა- იურიდიული ქვე კომისია იმ დასკვდაადგა, რომ ხელშეკრულება, რომ- ძალითაც შეერთებული შტატები ღებული არიან მიეხმარონ საფრან- ს იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ს დაესხმის საფრანგეთს, არ ეწიომდეგება კონსტიტუციას.

ანტუნის შესახებ კომისიამ მოისმინა სნება „შანხაის გაზეთის“ ზელმ ანელ მ. მიარისა. უკანასკნელის აზ- , საზავო ხელშეკრულების ის ნაწი- რომელიც ეხება შანტუნის საკითხს, ცილებლათ გამოიწვევს მომავალში ბს. სხვათა შორის მიარი ამბობს: რალ ბლისმა და ლანსინგმა მისწერეს ილი პრეზიდენტს, სადაც ისინი აცხ- ბდენ რომ წინააღმდეგი არიან შან ის შესახებ მიღებულ გადაწყვეტიის, რადგ ნაც აუცილებლათ მოსადნელი იქნება ახალი ომი, თუ იაპია შეიქნება პატრონი შანტუნისა. ზიდენტმა არ გამოაქვეყნა ეს წერი უკანასკნელი ცნობები, რომელიც იდა ვაშინგტონიდან, მოწმობენ, რომ ოიზული ხასიათი მიიღო სენატის ისიაში დებატებმა. გაზ. „ტ ნი“ იტ ინება, რომ შანტუნის შესახებ კოამ მიიღო სენატორ ლოჯის შეს- ება, რომელიც გაიდა 9 ხმით 8 აღმდეგ. ეს შესწორება შეადგე : საზავო პუნქტებში სათანადო ხელ- ულების სიტყვა იაპონია შეიცვა- ს სიტყვა ჩინეთით. ესე იგი, შან- ი დაუბრუნდეს ჩინეთს.

ნეუ-იორკ გეროლდ ს“ კორესპონ- ტის აზრით სხვადასხვა შესწორება- ერთი ხმის უმეტესობით გავა.

ძნელი სათქმელია, რა ბედი მოელის ზავო ხელშეკრულებას. თვით სენატში ამ ჯერ ჯერობით კომისიებში ხდე- და. „ტაიმსის“ ვაშინგტონელი კო სპონდენტი ასე უყურებს მდგომა- ობას: ამათი კომისიებში გაგრძელ- ბა 15 დღეს, შემდეგ კომისია შეუ- ება მოხსენების დამზადებას, ამ კით- ს განხილვას სენატში დასჭირდება ნაკლები 1 კვირისა. დემოკრატების ავლესობა, რომელიც ვალდებულ ან დაემორჩილონ პარტიულ დის პლინას, ვილსონს დაუჭერენ მხარს. სპუბლიკანელები არც ერთი მხარს დაუჭერს საზავო ხელშეკრულებას სახით, როგორც ის არის წარდგე- ლი. 20 წევრი რესპუბლიკანელი თა- ხმა იქნება მხარი დაუჭიროს საზავო ლშეკრულებას, თუ მასში შეტანილი ნება შესწორებანი დემოკრატიულ რაქციის ლიდერის. სენატორი გიტ- კ, სენატორი ბორა ლიდერია შეუ- იგებელ რესპუბლიკელების. სენატორი რი და კემბერი ხელმძღვანელობენ იმ სპუბლიკანელებს, რომლებიც თანახ- არიან მიიღონ საზავო ხელშეკრუ ება ზოგიერთი შენიშვნებით. არის სე- ატში კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც თაურობს ლოჯი. ისინი თანახმა რიან მიიღონ საზავო ხელშეკრულება, აგრამ საგრძნობ შენიშვნებით. მოსა- ლოდნელია, რომ სენატში უმეტესობა აზის დადგება, რომ შეიტანონ სა ავო ხელშეკრულებაში მხოლოდ უმნი შვნელო შესწორებანი.

რესპუბლიკის ერობათა მეორე ყრილობა

13 სექტემბრის საღამოს სხდომა.

გრძელდება მოხსენებები:

ლ. შენგელაია (ზუგდიდის მაზ.) ზუგდიდის მაზრაშიც ცუდ პირობებში მოუხდა ერობას მუშაობის დაწყება. ეს ის დრო იყო, როცა მაზრაში მაღშევიკური ქარი ჩადგა და კანონიერების იდეამ ხი ჩიდგა. ადმინისტრაცია ერობას დაეცა მოწყობილი, ცოტა გადახალისება დასჭირდა. ერობას მოუხდა მხოლოდ ჯამაგირებით დაკმაყოფილება, მინისტრაცია არც ახლაა მთა რობის ერ ჯამაგირებით დაკმაყოფილებული, ც ძალიან აფერხებს ნაყოფიერ მუშაობას. ზუგდიდის მაზრას თავისი ხაზინა არა აქვს, ის სარგებლობს სენაკის ხაზინით. ამის შესახებ გამგეობამ ქაღალდი გაუგზავნა სამინისტროს. ქაღალდს ვლილობა მიეცა. მხოლოდ ის მერმე ოგორღაც დაიკარგა. ხაზინის უქონობისა გამო ჯამაგირებს თავის დროზე ვერ ვაწვდით მოსამსახურეებს. ზუგდიდის მაზრა ყოველთვის საშიშარი იყო ჩალობის მხრით. იქ ძველ მთავრობა- გაორკეცებული ჰყავდა დარაჯთა რიცხვი. ჩვენი მილიციონერებიც ენერგიულად ებრძვიან ყაჩაღებს. ამ უკანასკნელ ვეში რამდენიმე ყაჩაღი გამოსალმა წუთისოფელს, რამდენიმე კი დაიჭირეს.

სურსათის მხრით ზუგდიდის მაზრა რგ პირობებში იმყოფება. აქედან რამდენიმე ასი ათასი ფუთი სიმინდი იქნა სხვა მაზრებისათვის გაზიდული, აქედან შემოსული ფულებით დაკმაყოფილდა დროებით ადმინისტრაცია და დაფარულ იქნა ყოველდღიური ხარჯები.

ზუგდიდის მაზრაში დაწყებითი სკოლების რიცხვი თითქმის საკმაოა. არის 211 მასწავლებელი. პირველ ყრილობამ ხმ. ანებისა მასწავლებლებს მოუმატა თვეში 340 მან., მაგრამ ფულების უქონლობისა გამო მასწავლებლებს ეს მომატება ჯერაც არ მიუღიათ. საერთოდ განათლების საქმეები ვერ იქნა შესაფერისად მოგვარებული. ამის მიზეზი შემდეგია: საერობო არჩევნები ისეთ დროს მოხდა, როცა მაზრაში ანარქია სავსებით არ იყო ჩაქრობილი. ამიტომაც ერობაში ვერც ერთმა პარტიამ ვერ შექმნა უმრავლესობა, ამ გარემოებამ ძლიერ შეაფერხა ჩვენი საერთო მუშაობა. სკოლის საქმეები ებარა მე-5 გამგეობის წევრს, რომელიც სისტემატიურად არ ესწრებოდა გამგეობის სხდომებს. მის შემდეგ იმავე ფრაქციამ გამოგზავნა მეორე კაცი. ისიც გავიდა გამგეობიდან და ამიტომ სკოლების გაუმჯობესება ვერ მოხერხდა.

ჩვენ შევიძინეთ ტყე, სახერხავი ქარხანა და აქედან მოველით ისეთ თანხას, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს უმთავრეს მოთხოვნილებებს. საქმე იმაშია, თუ მთავრობამ ნება დაგვრთო ტყით სარგებლობისა და საზღვარ გარეთ გატანისა.

გადასახადში ჯერ არ აგვიკრეფია, ერობას ცოტა, გულგრილად უყურებენ (ე. ი. დღემდე მან ვერ დაიმსახურა ხალხის სრული ნდობა) ამიტომაც იყო, რომ ერთმა რაიონმა (წალენჯიხის) წვრილი ერთეულების არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. დანარჩენ რაიონებში თემები მოეწყო. სულ 41 თემი უნდა გამოიჭრას.

სენაკ—ზუგდიდის გზატკეცილი მთავრობამ უნდა შეაკეთებინოს. მან ვერ მოახერხა და ერობამ ამ საქმისათვის გაიღო რამდენიმე ასი ათასი მანეთი. ეს მთავრობამ უნდა დაგვიბრუნოს. ტელეფონები ყველა საზოგადოებებში არის გაკეთებული.

ზუგდიდში არ არსებობს სამხედრო საკრებულო. ჯარში გასაწვევი ხალხი მიყავთ სოხუმში, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ეკონომიურათ ხალხს ანადგურებს. ჩვენ ვითხოვთ ზუგდიდში სამხედრო უფროსის დანიშნა თავისი კანცელარიით. ამაში ყველანი უნდა დაგვეხმაროთ.

ამ უკანასკნელ ხანებში ზუგდიდის მაზრაში გამოგზავნილ იქნა პოლკ. თუხარელის რაზმი დეზერტირების დასაჭერათ. მათ მართლაც მოაგროვეს დეზერტირები, მაგრამ, მიუხედავათ ერობის ჩარევისა, ოჯახის ერთი მარჩენალებიც წაიყვანეს. როცა მე მივმართე თუხარელს ამის შესახებ, მან მიპასუხა, რომ ის კანონი ახალგაზრდა ჯარისკაცებზე არ ვრცელდებაო. ხალხში ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სურსათ-სანოვაგესაც ხალხს ართმევდნენ. სამხედრო საკრებულო თუ ზუგდიდში იქნება, ასეთ მაგალითებს ადგილი არ ექნება მაზრაში

აგრარ. რეფორმა ტარდება. მუშაობს 7 კომისია, ჩამორთმევა მალე დამთავრდება და მერე განაწილებას შეუდგებიან. შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა, როგორც იცით, მთავრობამ ფულის უსახსრობის გამო შეაჩერა. ამ ჟამათ გაკეთებულია სრულად მხოლოდ ხეთამდე (20 ვერსითაა ზუგდიდს დაშორებული). ხეთიდან ზუგდიდამდე რკინის გზის გაყვანა ზუგდიდის ერობამ იკისრა. დასჭირდება 6 მილ. მანეთამდე. ხმები გავრცელდა, თითქოს ზუგდიდის ერობა არ უშვებდეს სიმინდს. ეს სიმართლეს მოკლებულია. ვილაც სვანიძეს ჰქონდა თფილისში ერთ ერთ სახელმწიფო ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სიმინდის შემოტანის შესახებ, მას ვადა გასვლია და განრისხებულია: ზუგდიდის ერობამ არ მომცა სიმინდიო. ეს მაშინ, როცა სვანიძე ზუგდიდში სულ არ გვინახავს.

მაზრა დაყოფილია 6 სამოსამართლო უბნათ. მაგრამ ჯერ 5 მოსამართლის მეტი არ გვყავს?

ბუაჩიძე (შორაპნის ერობა). ერობის არჩევნები მოხდა სხვა პარტიებთან შეთანხმებით. შემადგენლობა ასეთი იყო: 17 ს. დ. 10 ს. ფ. 12 ნ. დ. 5 ს. რ., ამ რიგად, არც ერთ პარტიას აშკარა უმრავლესობა არ ჰყავდა და მუშაობაც პირველ 3—4 თვე არ იყო სასურველ ნიადაგზე. დამფუძ. კრების არჩევნების შემდეგ გამგეობაში 5-დან ჩვენ სამი ადგილი დავიჭირეთ. პირველ ყოვლისა შევუდექით ადმინისტრაციის გადახალისებას და ახლაც ვცდილობთ მის სათანადოთ მოწყობას. წვრილი ერთეულები ჯერ ვერ მოგვიწყვია. არჩევნები ოქტომბერში უნდა მოხდეს. სულ გამოიჭრება 25 ერთეული. ჩვენ იარაღის ტარების ნებართვას არ ვაძლევდით არავის. ვინტოვკები და მაუზერები ავკრიფეთ. პატრონები მოდიოდნენ შინაგ. საქ. სამინისტროში და მოწმობებს შოულობდნენ. ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მთელი მაზრა დაყოფილია 7 სამოსამართლო უბნათ. ჯერ 6 მოსამართლე გვყავს, მე 7-ე ვერ ვიშოვეთ.

სანიტარულის მხრით მაზრა გავყავით 9 უბნათ. გავხსენით 7 საავადმყოფო. დანარჩენ უბნებში ექიმები გვყავს.

ჩვენ წელს გავხსენით 40 სასწავლებელი. აქედან 12 მთავრობამ და დანარჩენი ერობამ. მასწავლებლებს ჯამაგირები დიდი ხანია, რაც არ მიუღიათ.

აგრარული რეფორმის გატარების დროს ჩვენში არავითარ გაუგებრობას ადგილი არა ჰქონია. რამოდენიმე რაიონში მიწები უკვე დამზადებულია დასარიგებლათ.

სასურსათო საკითხს ერობის გამგეობა აწესრიგებდა კოოპერატივების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობა და კოოპერატივი ძალიან კარგ განწყობილებაში იყვნენ.

სამწუხარო ის არის, რომ თანამშრომელთა ინსტიტუტი არა გვყავს.

ტონიშვილი (დუშეთის მაზრა) ძალიან ცუდ პირობებში მოუხდა მუშაობა. ბოლშევიკური ანარქია არ იყო სავსებით ჩაქრობილი.

ადმინისტრაცია დანგრეული დაგვხვდა. მაზრაში ყაჩაღები თარეშობდნენ. ამოვიდა ვ. სულაქველიძე თავისი რაზმით და ყაჩაღები დაშალა. ადმინისტრაციაც ცოტათი გადავახალისეთ. სკოლები ისე მოუწყობელი იყო, როგორც აქ სხვა მაზრების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ. ჩვენ არსებულ სკოლებს 6 ახალი სკოლა მივუმატეთ. ამ წლიდან გვექნება სულ 46 სკოლა. მოსამართლე გვყავს სამი. მეოთხეც უნდა მოვიწვიოთ. მოსამართლე უბნებში დადის.

საავადმყოფოებიც მოშლილი იყო. ჩვენ საწოლიანი საავადმყოფოების მაგიერ გავხსენით საექიმო პუნქტები. წამლებს დაკლებულ ფასებში ვაძლევთ მცხოვრებთ. ექიმების დახმარება ასეთია: სახლში მისულს აძლევენებენ 5 მანეთს, თუ წაიყვანა სახლში თავისი ცხენით, 15 მან. წვრილი ერთეულების არჩევნები მოხდა. ინტელიგენტური ძალები არ გვყავს სოფლათ.

აგრარული რეფორმა ტარდება. მუშაობს 5 კომისია. ბევრ რაიონში მიწები უკვე ჩამორთმეულია. დარჩენილია ორი რაიონი. ვისაც ღონე ჰქონდა, იტაცებდა ამ მიწებს. ჩვენ ღონივრებს მიწები ჩამოვართვით და თავისი შრომის საფასური მივეცით, გლეხობა ამით მადლიერი დარჩა.

აგრონომიული პუნქტები გვაქვს. აგრონომებიც გვყავს. ტელეფონები გაგვყავს მაზრაში.

ფინანსიურის მხრით კრიზისს გან ვიცდით.

დ. ონიაშვილი (თფილისის მაზრა) თფილისის მაზრა თავისი ეთნოგრაფიული შემადგენლობით ჭრელია. ეს ქმნის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც ჩვენგან მოითხოვდა ხანდისხან გადაჭრილი ზომების მიღებას, ზოგჯერ კი კომპრომისებს

გამგეობამ ყველაფერზე მეტი ენერგია დახარჯა ადმინისტრაციის განწმენდა-რეორგანიზაციაზე. ამ მხრივ კიდევაც მივაღწიეთ მიზანს. ადმინისტრაციაში მოვსპეთ მექრთამეობა, ქურდობა და სხვ. ბოროტმოქმედება. განსაკუთრებით საფრთხეს გვიმზადებდა ყარაიაზის რაიონი, იქ ორი სოფელია ყაჩაღების ბუდე, მაგრამ ამ ჟამათ საქმე იქაც ცოტათი მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს. მეორე თავსამტვრევი საკითხი იყო ფინანსიური საკითხი. ჩვენ ბევრი ვცადეთ, მაგრამ მუდმივი ფინანსიური წყაროს შექმნა ჯერ ჯერობით ვერ შევძელით. დროებითი წყაროები იშოვა, პირველი წყარო იყო სასურსათო ოპერაციები, ამან ნახევარი მილიონი მანეთი მოგვცა. მეორე წყაროს შეადგენდა მთავრობისაგან გადმოცემული კრედიტები. ეს კრედიტები მცირე იყო და ერობას უხდებოდა დამატება. მესამე წყარო სესხი იყო. ამ წყაროების საშუალებით მოსამსახურეებს ყოველთვის თავის დროზე ვაძლევდით ჯამაგირებს.

გადასახადების საქმე არ არის სახელმწიფოში მოწესრიგებული. ყველა გადასახადები ერთად შიადგება გლეხობას. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევს. გლეხი იძახის: რაც გინდათ ის გადამახდევინეთ, მხოლოდ ერთხელ მიიღეთ და ერთხელ წაიღეთო. გადასახადებს აუცილებლათ გადიხდიან, მხოლოდ ახსნა-განმარტება და კატეგორიული მოთხოვნაა საჭირო.

ჩვენ მთელი მაზრა დავყავით 8 რაიონად. რამოდენიმე საზოგადოება შევაერთეთ, თემები ყველგან არჩეულია, ყველგან მუშაობენ, მაგრამ თავის დანიშნულების სიმაღლეზე ვერ სდგანან. ზოგმა თემმა მოითხოვა ადმინისტრაციის საქმის ხელში აღება. მისი მიღება-დათხოვნის მოწესრიგება, მაგრამ ჩვენ ამ სეპარატიულ მიდრეკილებას სასტიკ წინააღმდეგობას ვუწევთ. ჩვენ მხოლოდ დანიშვნის დროს ანგარიშს ვუწევთ მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატებს.

ქ. თფილისი არ შედის სამაზრო ერობაში, ამიტომ ჩვენი ერობის გამგეობა იმყოფება ექსტერიტორიალურად. საჭირო და სამართლიანია, რომ ზოგიერთი გადასახების ნაწილი თფილისის ქალაქის თვითმართველობამ სამაზრო ერობას გადასცეს. ჩვენ ერთი კი მოვახერხეთ, საფუთო გადასახადიდან 5 პროცენტი ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს. ხალხმა ორ დარგში უკვე იგრძნო ერობის ხელი: ეს არის ადმინისტრაციის საქმე და უფასო საექიმო დახმარება. მაზრაში სწავლის საქმე კარგათ არის დაყენებული, გვაქვს 65 სკოლა.

ბერუჩაშვილი (ლეჩხუმის მაზრა) ეს მაზრა ერობამ მიიღო ანარქიულ მოძრაობისაგან სრულიად აოხრებული, გაპარტახებული. გამგეობას მუშაობას მასიური ავათმყოფობაც გადაეღობა წინ. ამიტომ პირველადყოვლისა გამგეობამ მოაწყო საექიმო დახმარება. მოიწვია 6 ექიმი, 5 ფერშალი და გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა. წამალი ხალხს ეძლეოდა დაკლებულ ფასებში. სახლში მისულს აძლევენებენ ექიმები 3 მანეთს, თუ სახლში წაიყვანდნენ ყოველ ვერსზე 3 მანეთს აძლევდნენ საერობო კასიდან. დაარსდა ოთხი საექიმო და 5 საფერშლო პუნქტი.

ადმინისტრაციის გადახალისება მოხდა. უზრუნველყოფილი მაინც არ არის მაზრა ადმინისტრაციის მხრივ.

ლეჩხუმში არსებობს 57 სკოლა—სკოლები სამწუხარო სურათს წარმოადგენენ: სრულიად დანგრეული და აოხრებულია სწავლებაც რიგიანად არ სწარმოებს. დიდი შეკეთება სჭირია.

სამეურნეო დარგი მაზრაში ერთობ ცუდ პირობებშია.

არსებობს 4 სამოსამართლო უბანი. ვერც ერთი მოსამართლე ვერ ავირჩიეთ.

სამურზაყანოს წარმომადგენელი: 5 თვეა, რაც ერობა მუშაობს. პირველად ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციის მოწყობას, გადახალისებულმა ადმინისტრაციამ ყაჩაღების უმეტესი ნაწილი დაატუსაღა,

გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე სახალხო განათლების ჯეროვან დონეზე დაყენებას. შეაკეთა სკოლები გახსნა დ. გალში მასწავლებელთა კურსები და სხ.

იმ ხანათ მაზრაში მძვინვარებდა „ისპანკა“, გამგეობამ შეადგინა მფრინავი რაზმი და საექიმო დახმარება აღმოუჩინა მცხოვრებთ. განზრახულია 3 ადგილას საავადმყოფოს გახსნა. საექიმო დახმარება უფასოა. საავადმყოფოში მწოლიარე ავათმყოფთათვის წამლებიც უფასოა.

სურსათის მხრით სამურზაყანო უზრუნველყოფილია. იქიდან დიდ ძალი სიმინდი იქნა გატანილი. რამოდენიმე ათი ათასი ფუთის გამოტანა ახლაც შეიძლება. მაგრამ, სამწუხაროთ, ცენტრალური სასურსათო ორგანიზაციის მიერ არ იყო სწორი სასურსათო პოლიტიკა წარმოებული და ამიტომ სიმინდზე საოცარი სპეკულიაცია სწარმოებდა. ერთი აგენტი მეორეს მიყიდდა, რომ თითონ არ დასჭირებოდა იქ ხეტიალი და შრომის გაწევა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში სპეკულიაციას დიდი ადგილი ექნებოდა.

აგრარული რეფორმა ჩვენში უმტკივნეულოდ ტარდება. გლეხობა აღფრთოვანებით ეგებება მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას.

მთელი სამურზაყანო დავყავით 4 სამოსამართლო უბნათ. 2 მოსამართლე ამორჩეული გვყავს. ორი კი ჯერ-ჯერობით ვერ ვიშოვეთ.

სამურზაყანო განაპირა კუთხეა, გზების და საერთოდ მიმოსვლის მხრით ცუდი მდგომარეობაა. გამგეობამ მოინდომა ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ უფულობამ შეუშალა ხელი.

დამოკიდებულება აფხაზეთთან კარგია. არსებობს 32 დაწყებითი და 4 უმაღლეს დაწყებითი სკოლა.

სახალხო სახლი

შავი რეაქციის დროს ჩვენი მდაბიო მუშა ხალხი თავის ბნელ სარდაფებში განაგრძობდა ჩუმ მუშაობას და პოლიტიკურ თვითშეგნებას ღვივებდა. მაგრამ პროლეტარიატს ვერ დააკმაყოფილებდა პატარა, ჯგუფური, ვიწრო კალაპოტში მომწყვდეული მუშაობა. ყველა მაშინდელი მომუშავეებისათვის ცხადი გახდა, რომ ფართო, ლეგალურ მუშაობაზე გადასვლა აუცილებელი იყო. და ამ დღიდან დაარსდა სახალხო სახლი. მოიგონეთ ავჭალის აუდიტორია, ნაძალადევის და ვერის აუდიტორიები, სადაც ჩვენი ახალგაზრდა მუშა-სცენის მოყვარეები გაორკეცებულის ენერგიით და ხალისით მუშაობდენ. არსებული პატარა წრე გამუდმებით მუშაობაში გართული არ ივიწყებდა ქალაქის განაპირა უბნებთან ერთად პროვინციასაც კი.

მაშინ ამ მოვლენას გულუხვად აჯილდოვებდა ჩვენი დემოკრატია. სახალხო სახლთან არსებულმა წრემ თავის დაუღალავი მუშაობით შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა მთელი თფილისის პროლეტარიატის საუკეთესო ძალები. სახალხო სახლმა მოგვცა ჩვენ დახელოვნებული სახალხო მსახიობები, მაგრამ ყველა ეს მოვლენები ღირსეულათ დავაფასეთ ჩვენ? არა! თებერვლის რევოლიუციამ ჩვენი ფარული რევოლიუციონერი ორგანიზაციები ბნელი სარდაფებიდან სააშკარაოზე გამოიყვანა და აი სწორედ აქ დაგვავიწყდა სახალხო სახლი. და მასთან არსებული პატარა წრეც. მიუხედავათ იმისა, რომ ამ წრემ ჩვენ მოგვცა მომზადებული რეჟისორები, დღეს თვით ამ წრეს უსახსრობის გამო ვერ უშოვია რეჟისორი, რომ მომავალ სეზონიდან განაგრძოს მოქმედება

ჩვენი დემოკრატია სახალხო სახლშია აღზრდილი, იმასთან არის შეკავშირებული და დიდ თეატრებში ვერ წავა. არ წავა არა იმიტომ, რომ მან ამის მოთხოვნილება არ აქვს, არამედ ეს მისთვის ხელმიუწვდომელია. ნიკო გოცირიძეს და სხვა სცენის მოყვარეებს, რომლებსაც მთელი თავისი ძალ ღონე შეუწირავთ სახალხო სახლის აღორძინებისათვის და 25—30 წელი უმუშავნიათ მის გარშემო, რაც უნდა სასყიდელი მისცეთ, ისინი სახალხო სცენას ვერ მოშორდებიან არა იმიტომ, რომ მათ არ უჭირს—არამედ იმიტომ, რომ დაჩვეულნი არიან მდაბიო ხალხისთვის მუშაობას. ხედავ ქალაჩა სცენის მოყვარეს ჟუმიდლეს, რომლის გამომეტყველება: „მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარე ხალხის კულტურულ აღზრდას. მოვესწარი იმ დღეს, როდესაც პროლეტარიატი თავის გამარჯვებას დღესასწაულობს—ამავე დროს თავის სკოლა დაუვიწყნია და უკუგდებულ მდგომარეობაში მიუგდია“-ო. შესცქერი და პირი წყალით გევსება.

საჭიროა ამ მოვლენას ჩვენმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ანგარიში გაუწიონ და დაეხმარონ სახალხო სახლს. საჭიროა მთავრობამაც გაუწოდოს ხელი სახალხო თეატრს. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

ქ. პაიჭაძე.

კიდევ ეროვნულ ნაცარ-ქექიებზე

(ღია წერილის პასუხი ბ. კოტე სვიმონიშვილს).

„პიტალოელი“ ზუბრები განაგრძობენ ჩემს წინააღმდეგ ატეხილ განგაშს.

ბ. ლ. კიკაბიძეს მიჰყვა ბ. კოტე სიმონიშვილი და ასე „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან“.

რა საუცხოვო სურათია: ნაციონალ-დემოკრატების ერთი ლიდერთაგანი (!) სტუდენტი ლ. კიკაბიძე და ყოფილი ქუთაისელი პოლიცმეისტერი, ცნობილი „პოგრომშჩიკი“ და სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის არა ერთხელ პასუხისგებაში მიცემული ბ. კოტე სვიმონიშვილი?!..

გაგვეგონებათ რუსული ანდაზა „не трогай болото, а то заквакаютъ“-ო, სწორეთ ისე მომივიდა: იძულებული შევიქენ სვიმონიშვილზე ხელი გამესვარა და გაზეთის ფურცლებზე ორი სიტყვით ბორჩალოში მისი ჩვეულებრივი პროვოკაციული მოღვაწეობა აღმენიშნა. (იხ. „ერთობა № 175) აი ამას აუშფოთებია ბ. სვიმონიშვილის „პოგრომშჩიკული“ სული, და სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია, მომდგომია და იგინება, როგორც ნამდვილი ამ დარგში დახელოვნებული ძველი პოლიციელი.

მე არ შევეხები ბ. სვიმონიშვილის, ამ საგალითო ნაწარმოების გარეგან ფორმას, მის მშვენიერ სტილის და ენაწყლიანობას. ამ მხრით ეს ვეება ნამდვილი შედევრია უცოდინარობისა.

მოვიყვან მხოლოდ ერთ ნიმუშს ამ ქართველ პატრიოტისგან „მისი საყვარელ სამშობლო“ ენის ცოდნისას. „რომ მთელი საქართველო იმერეთმა, ე/ე იგი ნამდვილათ გურიამ და სამეგრელომ დაიჭირა ხელში და მართლაც გაბატონდა, ამას ჩემო ბატონო რამიშვილო, სათვალეები გაიკეთეთ, დაიარეთ სხვადასხვა დაწესებულებანი, თუ გისწავლიათ თითებზედ დედნებზედ ანგარიში, დათვალეთ ყველა მოსამსახურე, მაშინ თქვენ თავით თუ წერვა (!) იცით, დახხატეთ და მაშინ ჩაუფიქრდით და თუ მართალი არ გამოდგეს, მე გამლანძღეთ, და თუ მართალი გამოდგეს და კაცობრიობა ნებას მოგცემთ“... და სხ.

აი, ასე მშვენივრათ ჰკვეხებს ბ სვიმონიშვილი თავის „საყვარელ სამშობლოს“ ენაზე და ამავე დროს არც კი წითლდება, როცა იმავე წერილში, ცოტა ქვევით, სრულიათ სკოლის კურსის უნახავ მუშა თარგამაძეს რუსული ენის უცოდინარობას დასცინის!

რამოდენიმე ნიმუშიც ბ. სვიმონიშვილის პოლიციური ლანძღვა-გინებისა: „ჟანდარმის ვახმისტრის მსგავსი პროვოკაციული დანოსი-დაბეზღება...“

„ამისთანა საქმეზედ სწორეთ თქვენ ხართ თავის თმიდან მოკიდებული ფეხის ფჩხილებამდის ზედ გამოჭრილი იმით, პაპით და თუ შვილი გიყოლება ისიც მეტს არაფერს შეისწავლის, იმედია ღვთისაგან. . მეხამე, მეჯღანე, მიკიტანი... რამიშვილი—რომანოვი—რამანიშვილი“ და სხვა. აი, სულ ამისთანა ხელის-ხელ საკომპანიელი მარგალიტებით არის სავსე გაზეთის მთელი გვერდი.

რას არ მოესწრება თურმე კაცი: ბ. სიმონიშვილი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მართლაც რომ დანოსებში, პოგრომების მოწყობაში, ჟანდარმების ლაქიობაში და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების დევნაში და ბეზღებაში გაუტარებია, ეხლა მართალსავით გამომდგარა და გაზეთის ფურცლებზე საქვეყნოთ [illegible] რილს ეძახის [illegible] მსგავს დანოს [illegible]“.

სასაცილოა აგრეთვე [illegible] ბ. სვიმონიშვილისაგან სალანძღავათ აღება რომანოვების გვარისა. ნუ თუ დაავიწყდა, რომ სწორეთ ამ რომანოვების ერთი დედაბოძი და საუკეთესო დაყრდნილი აგენტი თვითონ ბრძანდებოდა?—რასაკვირველია, არა. და მე დარწმუნებული ვარ, ეს გვარი დღესაც რომ მოელანდოს მას სადმე, ის ფიცხლავ მოიგონებს ძველ ხელობას და ამ გვარეულობის სასიამოვნოთ ჩვეულებრივათ დაუწყებს ძიძგნას მისთვის დღეს „საყვარელ სამშობლოს“ სხეულს.

კიდევ უფრო სასაცილოა ბ. კ. სიმონიშვილის დაუსრულებელი ტრაბახი მის სამაგალითო მამულიშვილობაზე, სამშობლოს სიყვარულზე და შეუდარებელ გმირობაზე „იმ დროს, როცა მე და ჩემი ამხანაგები—კუპისტები შიშისაგან სოროში ვიმალებოდით და ტანზე (!) ოდეკალონებს ვისხამდით“ და სხ.

დიახ, ბ. სვიმონიშვილო, იყო ასეთი შავი დრო, როცა ჩვენ მართლაც ვიმალებოდით თქვენისა და თქვენი აგენტების დევნისაგან.

რაც შეეხება დასასრულ ბ. კ. სიმონიშვილის მიერ ჩემ წინააღმდეგ წამოსროლილ ბრალდებებს საფონდო მიწებზე მეთოდ ს [illegible] ათი ვითომდა ზედმეტი ღალის გაწერისა, ან და ქობულოვის მამულის „დანგრევისა და შემდეგ არენდათ აღებისა“ შესახებ, გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს არის საკუთარი მის მიერ მოჩმახული ზღაპარი და როგორც ასეთი, სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს. ამის დასამტკიცებლათ ჩემს ხელთ არის საკმაო ოფიციალური წერილობითი საბუთები, მარა თუ მე, მიუხედავათ ამისა, აქ არ გამოვდებ ამ საბუთების დასახელებას, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ სრულებით ზედმეტათ მიმაჩნია ჩემს მოქმედებაში, რაც შეფარდებულია სათანადო მთავრობის მიერ მოცემულ ინსტრუქციასა და კანონებთან ანგარიში მივსცე ყოველ უპასუხიმგებლო გამვლელ მსგავსათ სიმონიშვილსა, რომელიც, როგორც თითონ ბრძანებს მისი ოქროს პირით, „სრულებით არც კი არის ჩახედული ჩვენს დაწესებულებაში და არც უნდა გაეცნოს მას, იმისათვის, რომ დარწმუნებულია სულ ესენი დროებითია“ და სხ.

ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ ის ყოველ შარაზე გაგონილ ჭორებს აგროვებს და უზადრუკ „პიტალო კლდის“ ფურცლებზე გამოაქვს მკითხველის თავსატეხათ.

მაშ კეთილი ინებეთ ბ. კოტე სიმონიშვილო და იცადეთ მანამ, სანამ ეს თქვენი დრო არ დადგება, არ დაიგვიანდეთ კი.

რაჟ. რამიშვილი.

— —

P. S. ეს წერილი დაწერილი იყო, როცა „კლდის“ № 7-ში დაიბეჭდა მეორე წერილი ბ. ლ. კიკაბიძისა ჩემს წინააღმდეგ. ბ ლ. კიკაბიძე სიმონიშვილთან ერთად იმეორებს ათასგვარ ცილის წამებას ჩემს შესახებ. სჩანს მეტის მეტათ გათამამდენ ეს ვაჟბატონები და თავიანთ საზიზღარ კომპანიას საზღვარს ვეღარ უდებენ.

ამ შემთხვევაში მე მეტათ მიმაჩნია მათთან გაზეთის ფურცლებზე კამათი და მით მკითხველისთვის თავის შეწყენა. ბ.ბ. ლ. კიკაბიძეს და კ. სვიმონიშვილს, ეტყობა, სხვანაირი ჭკუის სწავლება ესაჭიროებათ, და ამიტომ ორივეს ვაძლევ ოფიციალურ სასამართლოში. დეე, მიუდგომელმა სასამართლომ დასდოს მსჯავრი მათ საქციელს ჩემს წინააღმდეგ.

რ. რ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 4 სექტემბერს, შეიკრიბა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის განახლებული კოლექტივი. დაესწრო მთელი შემადგენლობა, დაესწრო აგრეთვე სათათბირო ხმით კარლინსკის ქარხნიდან ამხ. ნ კაშია, სასურსათო მაღაზიიდან— ამხ. ლ. დოლიძე, „მირის“—ქარხნიდან ამხ. კარაპეტ მელქონიანცი და არტოლითანოვი.

კომისიების მოხსენება: ამხ. ნ. ბედინაშვილი ამბობს, რომ „მირის“ ქარხნის მუშები, რიცხვით 40 კაცი, დაესწრო ჩვენს მიერ მოწვეულ კრებას, სადაც ავუხსენით მათ იმ ჯგუფების მუშაობა, რომელიც „მირის“ ქარხანაში მუშაობენ „ინტერნაციონალისტების“ სახით. ჩვენ გავურკვიეთ მათ ჩვენი მდგომარეობა. მუშები სიამოვნებით შეხვდენ ჩვენ მოხსენებას და წარმომადგენლები აირჩიეს კოლექტივის სხდომებზე დასასწრებლად, ამხ. კარაპეტ მელქონიანცი და ფილოროვი.

კარლინსკის ქარხანაში უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, ადგილობრივ პროფ. კავშირის თავმჯდომარის ფრეილისა და მუშებს შორის. ამ საკითხის გამო

სარკვევად კოლექტივმა გაგზავნა ამხ. ნ. სხულუხია, რომელიც კოლექტივს ამცნობს, რომ უთანხმოებას საბოლოოდ ლიკვიდაცია ექნა, მხოლოდ შემდეგში რომ ასეთ რამეს არ ექნეს ადგილი, საჭირო არის რეორგანიზაცია კავშირისა და ისეთი კაცის არჩევა, რომელსაც მუშები შემდეგში ნდობით მოეკიდებიან.

ახალგაზრდა მარქსისტების სავამომძიებლო კომისიის წევრი ამხ. გ. გალუსტოვი აცხადებს, რომ მან შედეგს ვერ მიაღწია მათ დაუდევრობის გამო.

პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. წივწივაძე, რომელიც კოლექტივს მოუწოდებს განაგრძოს ის სოლიდარული მუშაობა, როგორიც იყო კოლექტივში ამ სამი თვის განმავლობაში.

პრეზიდიუმის რიცხვის გადიდების შესახებ კოლექტივმა იქონია მსჯელობა და პრაქტიკული მხრით აუცილებელ საჭიროებათ დაინახა პრეზიდიუმის რიცხვის გადიდება. პრეზიდიუმის წევრად ერთხმად აირჩიეს ამხ. ი. ბარამიშვილი, ფარული კენჭის ყრით, ამხ. გ. გალუსტოვი. ამ ნაირად განახლებულ კოლექტივის პრეზიდიუმის შემადგენლობაა: ამხ. მ. წივწივაძე თავმჯდომარე, ამხანაგად: ნ. სხულუხია. პრეზიდიუმის წევრნი: ი. ბარამაშვილი, გ. გალუსტოვი, ი. ხუციშვილი, მდივანი: ოლ. ბაქრაძე. ხაზინადარი ის. ხუციშვილი. კოლექტივმა შეიმუშავა სასტიკი წესები იმ წევრთათვის, რომელნიც საპატიო მიზეზების გარეშე სხდომას გამოტოვებენ. კოლექტივის წევრი, რომელიც ზედიზედ გამოსტოვებს სხდომას, აღარ ირიცხება კოლექტივის წევრად. მეორე შემთხვევაში, ის წევრი, რომელიც ორ თვეში ექვსჯერ არ ესწრება სხდომას, გამორიცხულ უნდა იქნეს კოლექტივის წევრობიდან.

მუშათა კლუბის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იოსებ ხუციშვილი. მისი აზრით საჭიროა გამგეობის რეორგანიზაცია და კრების მოწვევა დაუყოვნებლივ. კოლექტივი ერთხმად ღებულობს წინადადებას და აგრეთვე გამოსთქვამს სურვილს კლუბის წესდების გადასინჯვისას. სხდომის დასასრულ კოლექტივი ისმენს წვრილმან განცხადებებს და გადააქვს პრეზიდიუმში განსახილველად. ამხ. მ. აბულაძის შესახებ კოლექტივმა გადასწყვიტა მოწვეულ იქნეს ის კოოპტაციის საშუალებით კოლექტივში სამუშაოდ.

მდივანი ო. ბ.

მუშათა შორის

ტყიბული. 4 ენკენისთვეს, შესდგა საერთო კრება ტყიბულის მაღაროების მუშა მოსამსახურეებისა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. ხაფთასი, მდივნათ ვ. დარსაძე. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) მაღაროებში მუშათა კოოპერატიული დუქნის დაარსება, 2) ფულის მორიგეობით მიღება, 3) კავშირის გამგეობის თავმჯდომარის განცხადება.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს დ. ხაფთასი და აღნიშნავს კოოპერატივის დაარსების აუცილებლობას მაღაროებში; არკვევს, თუ როგორ უნდა მოეწყოს კოოპერატივი ტეხნიკურად და მოახსენებს კრებას, რომ მაღაროების ადმინისტრაცია თავის მხრივ კოოპერატივს აძლევს სესხათ 40,000 მანეთს. კრება ერთხმად სწყვეტს დაარსდეს კოოპერატივი მაღაროებში. კამათი იმართება იმაზე, თუ რა პრინციპი უნდა დაედოს სახელმძღვანელოდ კოოპერატივს, როგორი უნდა იყოს წიგნების წარმოება, მოსაგების განაწილება, ვინ უნდა იყოს ნამდვილი წევრი კოოპერატივისა და სხვა. ცხარე კამათს იწვევს დებულება დ. ხაფთასის მიერ წამოყენებული, რომლითაც კოოპერატივის წევრობა ყველა მუშა მოსამსახურესათვის სავალდებულო გახდეს. წინააღმდეგს იცავენ მიხ. ბოჭორიშვილი, და პ. კოსტავა, რომლებიც აღნიშნავენ ამ დებულების შეუსაბამობას და მოითხოვენ დარჩეს წესად საერთოდ მიღებული დებულება,—სურვილზე ჩაწერისა, როგორც ეს ხდება ყველა კოოპერატივებში. კრება ღებულობს წინადადებას, რომ „კოოპერატივის წევრობა სავალდებულოა ყველა მუშა-მოსამსახურეებისათვის“. კრებამ განსაზღვრა საპაიო და საწევრო ფული 100 მანეთით, რომლის ნახევარი შეტანილი უნდა იქნას ივნის ივლისის ჯამაგირიდან და მეორე ნახევარი აგვისტოს ჯამაგირიდან. კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა: 1) მიხ. ბოჭორიშვილი, 2) ლევ. ბოჭორიშვილი და 3) ვ. ქათამაძე. მათ კანდიდატებათ: 1) პ. კოსტავა და 2) ქ. გვენცისიანი. სარევიზიო კომისიაში: 1) სტ. პაპისოვი, 2) ივ. მიქაუტაძე და 3) ალექ. ხურციძე. კანდიდატათ ალექ. კვინიხიძე.

მეორე კითხვაზე კავშირის თავმჯდომარე აცნობს კრებას ფულის მიღების დროს შექმნილ აურ-ზაურს, რასაც ადგილი აქვს კანტორაში იმიტომ, რომ ორივე მაღაროების მუშები ერთად მიდიან და რომ ეს კითხვა საბოლოოთ გადაიჭრას, მივიღოთ, რომ ჯერ ერთმა მაღაროების მუშებმა მიიღოს ფული, შემდეგ მეორემ. კავშირის თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ მასთან მივიდა მუშების დელეგაცია სამი პირი, რომელთაც სურდათ გაეგოთ თუ როდის დარიგდება ივნისის და ივლისის ჯამაგირები. როდესაც მათ აუხსნეს საქმის ნამდვილი მდგომარეობა, კავშირის მიერ მიღებული ზომები და ფულის რამოდენიმე დღეში მიღების აუცილებლობა, ეს არ დაუჯერებია ერთ მათგანს და უთქვამს, რომ კავშირმა უღალატა მუშებს, გაყიდა ისინი, აღარ იცავს მათ ინტერესებს, კავშირი ადმინისტრაციის მოსყიდულია და სხვა... და მოითხოვს იმ პირებისაგან, რომელთაც ასეთი დაუმსახურებელი ჩირქი მოსცხეს მთელ კავშირს ან დაამტკიცონ ან და ბოდიში მოიხადონ მთელი კრების წინაშე. თუ ბრალდებულები ამას არ იზამენ—გამგეობა და დელეგატთა ყრილობა იძულებული იქნება მისცეს ცილისმწამებლები პასუხისგებაში.

კრებაზე დიდ მღელვარებას იწვევს ასეთი განცხადება. ყველა მოლაპარაკეები მოითხოვს ცილის მწამებლებისაგან, ან დაამტკიცონ, ან ბოდიში მოიხადონ. კრება კავშირის მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯებს იწონებს. თავმჯდომარე ეკითხება იმ ჯგუფს მუშებისას, რომლებმაც გამოგზავნა დელეგაცია—დაავალეს თუ არა მათ ასეთი ეპიტეტებით გამასპინძლებოდნენ კავშირს. მუშები უარს ყოფენ ასეთ დავალებაზე. მხოლოდ ერთმა მათგანმა წამოიძახა „არამც თუ ასეთი, ჩვენ მათ დავავალეთ კავშირის მთელი შემადგენლობის დაჭერაც კი“. ამის შემდეგ შემოდის წინადადება, ეყაროს კენჭი—უცხადებს თუ არა საერთო კრება ნდობას გამგეობას და დელეგატთა ყრილობას. კრება ერთხმად ოთხის წინააღმდეგ უცხადებს სრულ ნდობას კავშირის შემადგენლობას. შემდეგ კრება არჩევს წვრილმან საკითხებს და იხურება.

ბეჟი.

პროვინცია

გორის მაზრა. გორის მაზრაში რამდენიც წვრილი საერობო ერთეულია, იმდენივე აგრარული რეფორმის კომისიებია, მაგრამ მუშაობა მაინც კუს ნაბიჯით მიდის. ჯერ ჩამორთმევის პროცესიც არ არის დასრულებული, რაიც სამართლიან გულის წყრომას იწვევს მოთმინება გაწყვეტილ გლეხებში.

10 სექტემბერს გორის მოწინავე ამხანაგებმა გააცილეს ამხ მიშა კინწურაიშვილი (იასამანი), რომელიც გადაყვანილია ქ. ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორათ.

გორის მაზრაში დიდ-ძალი მამულებია სახელმწიფო ფონდში გადასული, რომლიდანაც მეათედები იკრიბება და ხალხიც სიამოვნებით იხდის, ვინაიდან დარწმუნდა, რომ ჰირნახული გროვდება დემოკრატიისთვის თავდადებული სახალხო გვარდიისთვის და სახელოვან ჯარისთვის. მოსალოდნელია წელს მოგროვდეს ასი ათასი ფუთი პური და სიმინდი, თუ მეტი არა. თივები უკვე მოგროვილია და მთის ოდენა ზვინები დგას.

10 სექტემბერს გათენებისას ექვსი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა ს. რეხაში მცხოვრებ მიქელა ქარელიშვილს, მოუკლეს ცოლ-შვილი, ვაჟი სერგო, მძიმეთ დაუჭრეს მეორე ვაჟი გიორგი, გაიტაცეს ათასი მანეთი და მიიმალნენ.

8 სექტემბერს, სოფ. ქვემო-არცევლები თვით გასამართლებიდან ჯარიმას პურ-ღვინით დაითვრენ, კეტებით მოკლეს ამავე სოფლის მცხოვრები იასონ საბუაშვილი. ამ საქმეზე გორის სამაზრო მილიციამ შეიპყრო და ციხეში მოათავსა იასონა, კარქო და ლექსო ზიბილაშვილები, ერთი მკვლელთაგანი სამსონ ზიბილაშვილი კი თვით ნაცემია და ძალზე დაშავებული.

9 სექტემბერს გორის მაზრის მილიციამ ქ. ხაშურში შეიპყრო ამას წინათ გორის ციხიდან გაქცეული ტუსაღები ტაბატაძე და გოგოლაძე.

10 სექტემბერს, შუაღამისას 4 შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა სოფ. როუისში მცხოვრებ სანდრო კუთხაშვილს და წაართვეს ოჯახის ნივთები და ტანისამოსები. ყაჩაღებს გზით გამოუვლიათ წინქილში და ოთხი მესაფქვავე დაუტუსაღებიათ გზის მაჩვენებლათ. ექვით შეიპყრეს სოფ. ურბნისის მცხოვრები ვიღაც ზარამაშვილი.

გორში ვრცელდება გაზ. „ერთობა“ 150 ც., „ბარბა“ 105 ც., „საქ. რესპუბლიკა“ 28 ც., „სოც. დემ.“ (ქუთათური) 10 ც., „სახ. საქმე“ 30 ც., „ნორ-აშხატავორი“ 6 ც., „ჟოღ. ძაინ“ 3 ცალი.

11 სექტემბერს გორის საოლქო შტაბის დარბაზში გაიხსნა გორის სახალხო გვარდიის საოლქო ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. ი. გ. გაბუნიამ. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ა. ჭიაბრიშვილი, მის ამხანაგათ ვ. ქარცივაძე, მდივნებათ ნ. სიხარულიძე და პ. ხუციშვილი. ყრილობას დაესწრო 49 დელეგატიდან 46. გასარჩევი საკითხები იყო: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) მოხსენება საოლქო შტაბისა, 3) რეორგანიზაცია სახალხო გვარდიისა, 4) მოხსენებები ადგილებიდან, 5) არჩევნები საოლქო შტაბისა და 6) მიმდინარე საკითხები. მიმდინარე მომენტი მოხსნილ იქნა. კრებამ საოლქო შტაბის წევრებათ აირჩია ი. გაბუნია (ს. დ.) გ. მინაზაროვი (ს. დ.), თ. ჯანელიძე (ს. დ.), ზ. ილურიძე (ს. რ.), პ. მღებროვი (ს. რ.) და დ. მაჭავარიანი (ს. ფ.). მათ კანდიდატებათ 1) ს. კასრაძე (ს. ფ.) 2) ა. ზიბილერი (ს. დ. ოსი) და ვ. ოქუაშვილი (ს. დ.). ყრილობამ საოლქო შტაბის საპატიო წევრათ ერთხმად აირჩია ამხ. ა. ჭიაბრიშვილი.

5 სექტემბერს ქარელის მილიციამ სახალხო გვარდიელების დახმარებით შეიპყრო ავაზაკები: პეტრე ქობლიაშვილი და ბავვრილა ყაზანაშვილი, მაგრამ მილიციონერებმა ელბაქიძემ და გოგიჩაიშვილმა შეაიარაღეს ყაჩაღები მილიციის „პოსტზე“ მყოფი იარაღით, გაუშვეს და თვითაც ყაჩაღებს გაყვნენ, მას შემდეგ ადგილობრივმა მილიციამ მიიღო ზომები და 7 სექტემბერს გაყაჩაღებული მილიციონერები ელბაქიძე და გოგიჩაიშვილი შეიპყრეს, ელბაქიძე გაიქცა და დარაჯმა მოკლა, გოგიჩაიშვილი კი გორის ციხეში მოათავსეს.

გომის რაიონის მილიციამ შეიპყრო ჰირნახულის სპეკულიანტი მიკიჩ ვართაპეტიანცი და გორის ციხეში მოათავსა, რომელიც სისტემატიურათ ეზიდებოდა ჰირნახულს საზღვარ გარეთ და ადგილობრივად ფას ხელოვნურათ სწევდა.

გორის ბაზარზე პურის ხორბალი ფასობს თორმეტი თუმნიდან თექვსმეტ თუმნამდე—ქერი შვიდ თუმნამდე.

ი. ქუტირელი.

განაჩენი

სამედიატორო სასამართლოსი სტეფანე გაგუასა და შალვა ჩოჩიას შუა.

ქ. ფოთი, საქალაქო თვითმართველობის ბინა, 26 აგვ.

ბ. შალვა ჩოჩიამ გაზ. „ერთობის“ № 141 28 ივნისს, 1919 წ. დასტამბა წერილი სათაურით „სამეგრელოს ავტონომისტები“?, რომელშიაც პედაგოგს ბ. სტეფანე გაგუას სხვადასხვა ბრალდება დაუყენა. ბ. გაგუამ ეს ბრალდებანი უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ჩასთვალა და გამოიწვია კორესპონდენტი სამედიატორო სასამართლოში. შ. ჩოჩიამ ეს წინადადება მიიღო და მხარეებმაც აირჩიეს მოსამართლენი: სტ. გაგუამ—სოლომონ ხოშტარია და სევერიანე მუსერიძე, შ. ჩოჩიამ—ლუკა დავითაია და მელიტონ მგალობლიშვილი. არჩეულმა ოთხმა მოსამართლემ თავის მხრით სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს გრიგოლ დიასამიძე და მოიწვიეს ის თფილისიდან. ამ შემადგენლობით სასამართლომ დაიწყო საქმის წარმოება საღამოს აგვისტოს 23-ს. სხდომები იმართებოდა დილასა და საღამოს 24—25 აგვისტოს. ხოლო 26 აგვისტოს მხარეებმა აირჩიეს დამატებით კიდევ ორი მოსამართლე: სტ. გაგუამ მიხეილ ესაკია და შალვა ჩოჩიამ—სოფოკლე ხოშტარია. ამ უკანასკნელი შემადგენლობით სასამართლოს ჰქონდა სხდომა 26 აგვისტოს, რომელსაც საღამოს 6 საათზე გამოიტანა ეს განაჩენი.

ამ სხდომებზე სასამართლომ გამოჰკითხა ყველა გამოცხადებულ მოწმებს საქმის გარემოება, გადიკითხა არ-გამოცხადებული პირების წერილობითი ჩვენებანი, აგრეთვე ორივე მხრისაგან წარმოდგენილი წერილობითი შემოწმებული და შეუმოწმებელი საბუთები და განცხადებანი, გაეცნო გარდა ამისა ყველა იმ წერილებს, რომელნიც დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში „მაფალუუს“ დაარსების გამო. ყოველივე ეს წერილობითი და სამოწმო მასალა სასამართლომ ასწონ-დასწონა, გამოარკვია, შეაფასა მისი არსებითი შინაგანი ღირებულებას მხრით და ერთხმად დაასკვნა:

როგორც სჩანს გამოძიებიდან, რომელიც აწარმოვა სასამართლომ, ქ. ფოთში დაახლოვებით ნოემბრისა, თუ დეკემბერში 1918 წელს დაარსებულა პატარა ჯგუფი, რომელშიაც სხვათა შორის, მიუღია მონაწილეობა მცხოვან პედაგოგს ბ. სტეფანე გაგუას, როგორც ერთ-ერთ თაოსანს. ამ ჯგუფს მიზნად დაუსახავს სამეგრელოს ისტორიის, არქეოლოგიის, ზნე-ჩვეულების და ენის შესწავლა, პერიოდულ და სხვა გამოცემათა ბეჭდვა მეგრულ ენაზე და საზოგადოდ საგანმანათლებლო საქმის მოწყობა საქართველოს ამ კუთხეში. ასე ხსნიან დაწყებულ საქმეს თვით ამ ჯგუფის დამაარსებელნი. ამ ჯგუფის პოლიტიკური ხასიათი გამოძიების მასალით ვერ დამტკიცდა.

17 აპრილს 1919 წ. ქ. ახალ-სენაკში დაარსდა მეორე ჯგუფი დაახლოვებით იმავე მიზნით, უმეტესად ახალგაზრდობისაგან შემდგარი, სტუდენტი მიხეილ კანკავას და მის ძმის ალექსანდრეს თაოსნობით. ამ მეორე ჯგუფისათვის საქმის დამწყებთ დაურქმევიათ სახელად „მაფალუუ“, რაიც ქართულად ნიშნავს გაფურჩქვნას და შემდეგ აყვავილებას. ამ ჯგუფის თავმჯდომარეთ, მიხ. კანკავას განცხადებით, ყოფილა პედაგოგი ბ. ლადი გაგუა, რომელიც, როგორც გამოირკვა, სრულებით ნათესავი არ ყოფილა ზემოხსენებულ სტეფანე გაგუასი როგორც სჩანს გაზეთების კორესპონდენციებიდან და ზუგდიდის სოციალ-დემოკრატიულ, სოციალ-ფედერალისტთა და სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიების ორგანიზაციების, აგრეთვე შავი ზღვის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის შემოწმებულ მოწმობებიდან „მაფალუუს“ თავმჯდომარის ამხანაგს სტუდენტს მიხეილ კანკავას განსვენებულ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას დასაფლავებაზე სოფ. ცაიში მეგრულად წარმოუთქვამს „მაფალუუს“ სახელით პოლიტიკური შინაარსის სიტყვა სამეგრელოს პოლიტიკური წყობილების შესახებ, რომლიდანაც ყველას შეეძლო გამოეტანა ის დასკვნა, რომ „მაფალუუს“ უნდა ჰქონოდა პოლიტიკური ჯგუფის ან პარტიის ხასიათი. ეს პოლიტიკური ხასიათი „მაფალუუ“ ს სასამართლოს წინაშე სამოწმო ჩვენების დროს უარჰყო სტუდ. მიხეილ კანკავამ და განაცხადა, რომ ჯგუფს ჰქვიან სახელად სამეგრელოს კულტურის მოყვარე ჯგუფი „მაფალუუ“. ეს საკითხი სასამართლომ ვერ გამოიძია, რადგანაც მის პირდაპირ საგანსა და კომპეტენციას არ შეეხებოდა. სასამართლო იმედს გამოსთქვამს, რომ ამ საკითხს, როგორც ყველა ამგვარ საკითხებს, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციები, საქმეს სავსებით გააშუქებენ და სისწორით გამოიძიებენ და გამოარკვევენ.

ფოთის ჯგუფსა და „მაფალუუს“ შორის არსებობდა ურთიერთობა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ფოთის ჯგუფის სხდომებს ესწრებოდა „მაფალუუს“ წარმომადგენელი მიხ კანკავა და საერთო წესდების დირექტივების შემუშავებაში იღებდა მონაწილეობას. მიხ. კანკავა შეთანხმებულა ფოთის ჯგუფთან, რომ მათ ექნებათ მხოლოდ კულტურული მიზნები. ხსენებულ წესდების პროექტის საბოლოო რედაქცია მიენდო თფილისში მიმავალ პედაგოგს ბ. სერგო დანელიას, რომელსაც შემდეგ ეს პროექტი უნდა დაესტამბა ერთ ერთ გაზეთში.

სასამართლო აგრეთვე საჭიროდ რაცხს აღნიშნოს, რომ სასამართლოს საქმის წარმოების დროს არ დამტკიცდა, რომ სტეფანე გაგუას მიეღოს მონაწილეობა ქ. ახალ-სენაკში არსებულ „მაფალუუს“ ჯგუფის საქმეებში. გარდა ამისა, არ დამტკიცდა ისიც, რომ სტეფანე გაგუა და მისი ჯგუფი მოითხოვდეს სამეგრელოს ან კულტურულ ეროვნულ ან ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ჯგუფების დაარსებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოების ფართო წრეებში. ეს მითქმა მოთქმა გაძლიერდა მეტადრე, მიხ. კანკავას სიტყვით შემდეგ, იონა მეუნარგიას დასაფლავების დროს.

გასაკვირველი არ არის, რომ დაშინებულმა რუსის ძველი რეჟიმის აგენტებისაგან გამოგონილ მეგრელების დანარჩენ ქართველებისაგან გამთიშველ ზომებით, ჩვენმა საზოგადოებამ „მაფალუუს“ ამბავი მიიღო ზარდამცემ ამბად, თითქოს დაიბადა მეგრული სეპარატიზმი.

სასამართლო ვერ დამალავს იმ გარემოებას, რომ მეგრელ ჯგუფების დაარსებამ და მათ გარშემო ამტყდარმა სამწუხარო მითქმა მოთქმამ შექმნა ისეთი ნიადაგი, რომელშიაც ადვილად შეიძლება გამთიშველმა აზრებმა ფესვი გაიდგან და დაჰბადონ წარმოდგენა, თითქოს მეგრელები ცალკე ხალხს, ეროვნებას წარმოადგენს დანარჩენ ქართველებისაგან. ამისთანა ნიადაგს შეუძლია მიიზიდოს სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები სათარეშოდ და თავიანთ ბნელი საქმეების გამოსაწყობათ.

აი სწორედ ამ საშინელმა, გულსაკლავმა პერსპექტივამ ბევრი შეგნებული ქართველი მოქალაქე და მამულიშვილი სამართლიანად აღაშფოთა და აიძულა, როგორც ზემოხსენებულ ჯგუფების, ისე მის დამაარსებელთა წინააღმდეგ გამოსვლა. უეჭველია, სწორედ ასეთმა შიშმა მოიცვა ახალგაზრდა შალვა ჩოჩიაც და გაამბედვინა მას თავის სახელის არ-დამალვით გაზეთის ფურცლებზე გამოსვლა. შ. ჩოჩია თავის გამოსვლის დროს, ცხადია, არ ხელმძღვანელობდა რომელიმე პირადი ინტერესით, არამედ მას ამოძრავებდა მთლიანის და საერთო საქართველოს ნორჩი სახელმწიფოებრივობის ბედ-იღბალი. მან გადიტანა გაზეთის ფურცელზე მხოლოდ ის, რაც მის გარშემო საზოგადოებაში ისმოდა.

პრესსა საუკეთესო საშუალებაა ყოველივე უკუღმართობის გამოსაფენათ და გამოსარკვევათ. ყოველთვის შესაძლებელია შემდეგ ჭეშმარიტების აღდგენა. ამისთვის მრავალი გზაა და ერთ-ერთი მათგანი დღევანდელი სასამართლოა, რომელიც მოსამართლეთა სინდისის თანახმად ერთხმად აღიარებს, რომ თავმოყრილმა მის ხელში მასალამ ვერ დაუმტკიცა მას, რომ სტეფანე გაგუა შეპყრობილი იყოს მეგრული სეპარატიზმით, რომ იგი გიმნაზიაში მოწაფეებს ჰყოფდეს მეგრელ და გურულ ჯგუფებად. თვით შ. ჩოჩიამაც განაცხადა, რომ ეს ამბავი მხოლოდ როგორც ხმად გაგონილი მოიყვანა თავის კორესპონდენციაში.

რაც შეეხება მეგრულათ სწავლებას, გამოირკვა, რომ სტ. გაგუა მეგრულად ბავშვებს არ ასწავლიდა გიმნაზიაში, ხოლო მეგრელ ბავშვებს მეგრულად უხსნიდა ზოგიერთ გაუგებარ სიტყვებს, რაც დანაშაულში არ ჩაითვლება პედაგოგიკის მხრით.

მხოლოდ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ აქ, რომ სტ. გაგუამ სასამართლოს შეკითხვაზე განაცხადა: „სალი პედაგოგიური პრინციპი მოითხოვს, რომ სწავლება სკოლებში ხდებოდეს ხალხის გასაგებ ენაზე. სამეგრელოში ასეთი ენა არის მეგრული, იმ ადგილების გამორიცხვით, სადაც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგალითად, როგორიც გორდი, საჯილაო და სხვ. თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ჯერობით ნაადრევია. ისე კი დარწმუნებული ვარ, როცა საქართველოს რესპუბლიკა მოღონიერდება, თვითონ განახორციელებს ამას.“

არ დამტკიცდა აგრეთვე, რომ სტ. გაგუას მიეცეს სოფლის მასწავლებლებისათვის რაიმე „ფარული დირექტივები“ ესეც შ. ჩოჩიამ მოიყვანა თავის კორესპონდენციაში როგორც ხმა.

შემდეგ სასამართლო შენიშნავს, რომ კორესპონდენციის სიტყვები „პროვოკატორული მუშაობა“ და „ქართველ ძმებთა შორის შუღლისა და მტრობის თესვა“ სტეფანე გაგუას არ ეხება და თვით შ. ჩოჩიამაც განაცხადა, რომ ამ სიტყვების დაწერის დროს სტ. გაგუა მას სახეში არა ჰყოლია.

აღიარებს რა ყველა ამას, სამედიატორო სასამართლო გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ამის შემდეგ მაინც ჩაქრება უსაფუძვლო ხმები ამ განაჩენში აღნიშნული საგნის გამო და მოისპობა ის ვნებათა ღელვა, რომელიც ზარალის, უბედურობის და დანგრევის მეტს არაფერს სხვას არ უქადის ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას და ამავე დროს სიხარულსა და ჩვენთვის მავნე ნატვრას უღვიძებს საქართველოს ხალხის და მათ შორის მეგრელების საერთო მტრებს.

მთელი მასალა, შეგროვილი სასამართლოს მიერ ამ საქმეზე და ოქმები სასამართლომ გადასწყვიტა გადასცეს ქ. თბილისში ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებას. სასამართლოს თავმჯდომარე გრ. დიასამიძე.

სასამართლოს წევრნი: ს. ხოშტარია, მ. ესიკია, სევ. მუსერიძე, ლ. დავითაია, სოფოკლე ხოშტარია, მ. მგალობლიშვილი.

ჩვენი ფოსტა

ვასო გადილიას: გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში.

განცხადებანი

ჭრა-კერვის კურსები
მ. ა. ბერიძისა
[illegible] (3—2)

ექიმი ბესარიონ პაპავა
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღ 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

კბილის ექიმი თ. ს. ცხომელიძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება დილით 9—2 საღამოს. 5—6 კალოუბნის ქუჩა № 8. ტელეფონ 13—35. (10—9)

ექიმი ლ. ა. სარალიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი დ. შ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

ექიმი ა. ი. ქუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირ. ს. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ა. შ. მუხაძე.
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიულ ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ა. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი დღეები (შეშხაპუნება „606“ და „...“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე განოების სნეულებანი. ავადმყოფ. მიღება ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ა. ნ. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო [illegible] სიფილისის წამლობა (606—914) დილ. 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—

ექიმი იოსებ რაფდენის ძე ცინცა
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფ. საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ნ. შ. მგალობლიშვილ
ქალთა და სამეანო ავადმყოფ. მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 ს. [illegible] ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ა. ნ. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ბასინის წამლობა X სხივებით, დიდი სა[illegible] ნოიდი და არსებითი ტოკით ფილტვის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიგებს ჯუფასით ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—82

ექიმი ა. დ. ქიქოძე
სიფილისის და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „9 მიღება დილით 9—11, საღამოთი 4- ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ცეკვის კურსები
მე 27-ე წელი
ი. ა. როზენბერგისა.
სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101. (5—5)

სახელმწ. მოს. ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საყურადღებ
სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა ამ აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 21 ენკენისთვეს 1919 წ. დილ. 10 საათზე ქართული კლუბის შენობაში (დამფუძნებელი კრების ქ., 5) დანიშნულ
წევრთა მეორე საზოგადო კრება
რომელიც ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის შესახებ, 2) არჩევა გამგეობის წევრების და მათი კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.
გამგეობა სთხოვს საზოგადოების ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრ ამ კრებას.
გამგეობა. (3—1

იყიდება მიწა ოზურგეთში
ბათომის ქუჩისა და შესახვევის კუთხე, ზომით 414 საჟ., ხეხილით მოშენებუ მისამართი: თფილისი, იზმაილოვის შესახვ. (ვერაზე) № 6, ს. გრიაზნოვი. 3

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობა
ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება საზოგადოების სამუსიკო სასწავლე ში სწარმოებს გამგეობის კანცელარიაში (სლეპცოვის ქუჩა, სახლი № 4) ყოველ დღე საღამოობით 5—7 საათამდე. მისაღები გამოცდა დანიშნულია 20 ენკ თვიდან დილით 10—1 საათ; საღამოს 5—7 საათ. სწავლა დაიწყება 20 ენკ სთვეს. (2—2)

წიგნის მაღაზია „განათლებაში“ ოლღას ქ. № 6.
და ჩოხატაურში იყიდება რვეულები და სახელმძღვანელოები. (6—5)

მეწრიგეთა მბეჭდავი სტამბა ამხანაგობა, გამბიერის შესახვევი № 1.